საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

844/2 №13002

15

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 8 (1025) | ორშაბათი, 23 იანვარი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილი თოვლი

გზად მომავლისკენ!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი ბულგარეთში

1995 წლის 19 იანვარი. ნათლისღების მადლიანი დღე. ბარაქიანად ბარდნიდა თბილისში. ამბობენ, ნათლისღების თოვლიანმა დღემ კარგი წელიწადი იცისო, იქნებ... ჭირჭირობით კი კვლავ მძიმედ გაიწევს „ბედი ქართლისა“ და „ქართვლის ჭირი“.

ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზების ძიებით მოუსვენარი სახელმწიფოს მეთაური დილაადრიან ჯდება თვითმფრინავში და სამთავრობო დელეგაციასთან ერთად ბულგარეთს მიფრინავს. სჯერა: ვიზიტს, რომელიც ჯერ კიდევ აგვისტოში დაიგეგმა და წინ სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა, ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, თანასწორუფლებიანი პარტნიორების თანამშრომლობის ახალი ეტაპი მოჰყვება. ორივე სახელმწიფოს მეთაურებმა იციან: ეკონომიკური კრიზისი, რომელიც მათს ქვეყნებში მძვინვარებს, დემოკრატიის მთავარი საფრთხეა, ამიტომაც თავდახსნის გზების ძიება ორივეს ერთნაირად აწუხებს.

საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა ბულგარეთისათვის გარდამავალი პერიოდი, თუმცა იქ განხორციელებულმა რეფორმებმა მდგომარეობა თითქმის გამოაკეთა. რესპუბლიკა ცდილობს აღადგინოს დარღვეული კავშირები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთანაც.

ბულგარეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ერთი მხრივ მას შავი ზღვა აკრავს და მის ბუნებას, როგორც ჩვენსას, ზომიერ სარტყელში მდებარეობა განსაზღვრავს. რესპუბლიკაში 8,5 მილიონზე მეტი მცხოვრებია, დედაქალაქი სოფია 1,2-მილიონიანი ქალაქია.

ბულგარეთს მიმავალი დელეგაცია არცთუ მცირერიცხოვანი იყო. ვიცე-პრემიერი ბაკურ გულუა, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი აბაშიძე, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი ზურაბ გეგეჭკორი, კულტურის მინისტრი დავით მაღრაძე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი, ქალაქ ქუთაისის მერი თეიმურაზ შაშიაშვილი და სხვები. მათ ბულგარელ კოლეგებთან ერთად ხელი უნდა მოეწერათ ისეთ მნიშვნელოვან შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებზე, რომელიც საფუძველს შეუქმნიდა ორი სახელმწიფოს თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით, მომავალ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

სოფიაში მოკრიალებული ცა დაგვხვდა, მაგრამ ქუჩებში თოვლი იდო. საკმაოდ ყინავდა, ოღონდ, ჩვენგან განსხვავებით მხოლოდ გარეთ. აეროდრომზე დახვედრილმა ლიმუზინებმა და პოლიციის საპატრულო მანქანებმა საქართველოს დელეგაცია ბულგარეთის სამთავრობო რეზიდენცია „ბოიანაში“ მიიყვანეს (სხვათა შორის, პრეზიდენტიც ამავე სასახლეში ცხოვრობს, მის ახლოს განლაგებულ ვილებში კი, როგორც გვითხრეს, — ხელისუფლების ელიტის წარმომადგენლები). აქ მოეწყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის დახვედრის ოფიციალური ცერემონიალი. აჟღერდა საქართველოს და ბულგარეთის რესპუბლიკების ჰიმნები, მოეწყო სამხედრო აღლუმი, რომლის შემდეგ ერთი საათით სასაუბროდ პირისპირ შეხვდნენ ბატონი ედუარდ შევარდნაძე და ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ყოფილი დისიდენტი ჟელიუ ჟელევი. უზარმაზარ ფოიეში კი პირისპირ დავრჩით ქართველი და ბულგარელი ჟურნალისტები.

მასპინძლები მალე გაგვიშინაურდნენ, ზოგმა ფინჯან ყავაზე დაგვპატიჟა, ზოგმაც — წვენებზე. უშუქობა არ გვაწუხებს, უწყლობამ კი შეგვალონა. მეტროპოლიტენის აქამდე უქონლობაც გასაჭირს გვიმატებს, გაზიც. ნაკლებად გვაქვს, ბუტანს, სიძვირე და ხელმოკლეობაც ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, დაგვაკვალიანეს (ბულგარეთში საშუალო ხელფასი 50 დოლარის ტოლფასია, მაგრამ ინფლაცია დიდია და ეს არაფერს ნიშნავს), აშკარად ჩანდა, ჩვენზე ნაკლებ იმედებს არ სდებდნენ ბულგარელები ამ ვიზიტს.

ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები ვიზიტის პროგრამისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ. გაზეთებში დაიბეჭდა ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ და სტატია „შევარდნაძის ფენომენი“. მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ინტერვიუ მისცა ტელეპროგრამა „პანორამას“.

როგორც გვითხრეს, ბულგარეთშიც პრესის ბუმია და იქ ყველა გაზეთი დამოუკიდებელია. გადაცემებისათვის 26 კერძო რადიოსადგურს აქვს ლიცენზია, არის ორი სახელმწიფო სატელევიზიო არხი და დაწყებულია კერძო არხების ლიცენზირება. ბულგარელ კოლეგას იმ წარწერის თარგმნა ვთხოვე, აეროპორტიდან გზად ერთ-ერთი შენობის კედლიდან რომ ჩავინიშნე და შიგ მათი პრეზიდენტის გვარის მეტი ვერაფერი ვეგუმანე, დაახლოებით ისეთი უგვანი ეპითეტი აღმოჩნდა, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურისთვისაც რომ იმეტებს ხოლმე ზოგიერთი თანამემამულე. ეს რა თქმა უნდა, მათთვის არ გამიმხელია, იქაურმა კოლეგამ კი დასძინა: ჩვენთან, ვისაც რა უნდა, იმას წერს და ამბობსო. ვფიქრობ, არც ამით განვსხვავდებით იმათგან...

ბულგარელები ქართველებივით თავს სუვერენულ სუბიექტებად თვლიან. არა აქვთ მონური სული, არც ეროვნული ამბიცია აკლიათ, ჩვენსავით ვერც გარეგანი თუ შინაგანი მწუხარება ერევათ.

ერთი საათი გავიდა და იმ ოვალურ დარბაზში შევედით, სადაც ოფიციალურ დელეგაციებს შორის მოლაპარაკება და დოკუმენტებზე ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიალი შედგა.

პირველად ბულგარეთის ისტორიაში ხელი მოეწერა თოთხმეტ, როგორც პრეზიდენტმა ჟელიუ ჟელევმა თქვა, რეკორდული რაოდენობის დოკუმენტს. უპირველესად ხელი მოეწერა დიდ პოლიტიკურ ხელშეკრულებას ბულგარეთსა და საქართველოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, ასევე ხელშეკრულებასა და შეთანხმებებს: საჰაერო მიმოსვლის, საზღვაო-სავაჭრო ტრანსპორტის, საერთაშორისო ავტოტრანსპორტის, ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და ხელშეწყობის, კულტურისა და მეცნიერების სფეროებში ურთიერთობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის ურთიერთობის ხელშეკრულებებს, პირველად მოეწერა ხელი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებში სამართლებრივი დახმარების ორ ხელშეკრულებას. ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი გაფორმდა ბულგარეთის საინფორმაციო სააგენტოს „ბეტასა“ და საქართველოს საქინფორმს შორის. ასევე, ორი მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც დაძმობილდნენ ქალაქები ქუთაისი-პლოვდივი და ფოთი-ბურგასი. პრეზიდენტმა ჟელევმა თქვა, მახარებს ეს ხელმოწერები, რადგან მათში დევს ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის საფუძველი, ჩვენი ქვეყანა მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, მის ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა კოლეგებს მოსამზადებელ სამუშაოებში დიდი გარჯისთვის და ხელშეკრულებათა რეკორდული რაოდენობა ბულგარეთსა და საქართველოს ინტერესთა დამთხვევით ახსნა.

ცერემონიალი დამთავრდა, უქმად წუთიც არ იკარგებოდა, რადგან ვიზიტი ხანმოკლე იყო, მოსასწრები კი — ბევრი. ვიდრე საქართველოს დელეგაცია ოფიციალურ სადილზე შევიდოდა, რომელიც პრეზიდენტმა ჟელიუ ჟელევმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისა და დელეგაციის წევრთა პატივსაცემად გამართა, ხელმოწერილი დოკუმენტების შეფასება ვიცე-პრემიერს ბაკურ გულუას ვთხოვე:

— შეიქმნა იმის წინაპირობა, რომ დამყარდეს კარგი ურთიერთობა, როგორც ბულგარეთის პარლამენტთან, ისე მთავრობასთან. გამოჩნდა: ბულგარელებს საქართველოსთან რეალური ინტერესები აქვთ; ემთხვევა ჩვენი თვალთახედვაც. როგორც ჩვენი, ამათი ქვეყანაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. დაახლოებით ერთნაირი ფილოსოფია გვაქვს, ერთნაირი ჭირგამოვლილი ვართ, კადრების მდგომარეობა აქაც თითქმის იგივენაირია, ვფიქრობ, ურთიერთობა ძნელი არ იქნება და, რადგან წარსული და აწმყო მსგავსი გვაქვს, მომავალიც ერთნაირი უნდა გვქონდეს. ერთი სიტყვით, ხიდები ჩანს, ახლა საჭიროა მაღალი კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი, სიფხიზლე, ქვეყნის ინტერესების დაცვა და დიდი საქმეების კეთება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ისე ბიზნესმენთაგან, თორემ... ჩვენ ბევრ ქვეყანასთან დავდეთ ხელშეკრულებები, შევქმენით წინაპირობები, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ და წინაპირობა წინაპირობად დარჩა. ბრალი ჩვენი და შედეგიც ჩვენი. ერთი სიტყვით, სამუშაო ბევრია, საამისოდ შეიქმნა იურიდიული, სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძველი. თუ ვიმუშავეთ, შედეგს მალე იგრძნობს საქართველო, თუ არა და ეს ვიზიტი გასეირნებად დარჩება.

СРЯДА, 18 ЯНУАРИ 1995 г.

ПЛАНЕТА

Бившият партиен кадър е нахлузил Грузия като ръкавица

Феноменът Шеварднадзе

ПИТЪР РАЙТ

ЛОВЕЦ НА ШПИОНИ

სადილის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა და დელეგაციის წევრებმა გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი ალექსანდრე ნევსკის მოედანზე და პარლამენტისკენ გაემართნენ, სადაც ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ბულგარეთის სახალხო კრების თავმჯდომარეს, პარლამენტის სპიკერს, ცნობილ მათემატიკოსს, აკადემიკოს ბლაგოვესტ სენდოვს.

ბულგარეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. აქ 1991 წელს მიიღეს და ძალაშია ახალი დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს. პარლამენტი ამჟამად ახალი შემადგენლობით მუშაობს. სულ 240 დეპუტატია, მათ შორის 125 სოციალისტია. პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვის უფლება აქვს. ქვეყანას მთავრობა მართავს, პრეზიდენტი მთავრობაზე პასუხს არ აგებს, რადგან მთავრობას აყალიბებს ის პარტია, რომელსაც ქვორუმზე მეტი ხმა აქვს პარლამენტში. ამ დღეებში სოციალისტებმა მთავრობის ახალი შემადგენლობა უნდა წარუდგინოს პარლამენტს. თუ ეს მთავრობა არ გაამართლებს, შემდეგს წარადგენს ის პარტია, რომელიც ხმათა რაოდენობით სოციალისტების შემდგომია.

სპიკერს ხუთი ვიცე-სპიკერი ჰყავს მათ შორის ერთი ქალია (სხვათა შორის, ხელისუფლების ორგანოებში ქალები მრავლად არიან, ახლანდელი პრემიერ-მინისტრიც ქალია). სხდომა კვირაში სამჯერ იმართება. დარბაზი იარუსიანია, ქვემოთ დეპუტატები სხედან, ზემოთ პრეზიდენტის, მთავრობის, მოწვეული სტუმრებისა და ჟურნალისტთა ადგილებია. სალაპარაკოდ მხოლოდ ტრიბუნაა გამოყოფილი, ადგილიდან ემოციების გამოხატვა, რეპლიკები და ჭკუის დარიგება იკრძალება. არც მიკროფონებია რიგებში ჩამომწკრივებული. იმ დღეს სხდომა იდეალური სიმშვიდის პირობებში მიმდინარეობდა. ყოველთვის ასეთი სიმშვიდე თუ არისო, რომ ვკითხეთ, წინა სხდომა მღელვარე იყოო, გვითხრეს. მწვავე კამათი იგულისხმეს და არა წივილი, კივილი და ღრიალი. სხდომის მსვლელობისას დარბაზში არც ჟურნალისტთა წრიალი დაგვინახავს და არც ფოიეში სიგარეტის მოსაწევად წარამარა გამოსული დეპუტატები. პარლამენტში ყველა შემსვლელი მკაცრად კონტროლდება (შეუმოწმებლად შესვლის უფლება მხოლოდ სამ კაცს აქვს: პრეზიდენტს, სპიკერსა და პრემიერ-მინისტრს). პარლამენტის მუშაობის შესახებ მეტის მეტყობა ვერ მოვახერხე, რადგან საქართველოს ოფიციალური დელეგაცია კვლავ „ბოიანას“ სამთავრობო რეზიდენციაში დაბრუნდა. აქ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურსა და ბულგარეთის პრეზიდენტს ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე ელოდნენ.

ჟელიუ ჟელევმა კმაყოფილება გამოთქვა ვიზიტის შედეგებით და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ბულგარეთი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. — ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათან, მაგრამ საქართველო გამოდის რთული მდგომარეობიდან, — თქვა მან და დასძინა, რომ ძალიან უნდა ჩვენმა ქვეყანამ წარმატებებს მიაღწიოს, სჯერა: ისეთი დიდი პოლიტიკოსი, როგორიც ედუარდ შევარდნაძეა, თავისი გამოცდილებითა და საერთაშორისო აღიარებით შეძლებს საქართველოს კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანას. ისიც აღნიშნა, რომ შევარდნაძე ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, გარდაქმნა რომ დაიწყეს, მაგრამ გორბაჩოვისგან განსხვავებით, იგი უფრო წინ წავიდა და მჯერა დემოკრატიის საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანსო. ჟ. ჟელევმა საბჭოთა იმპერიის დაუშლელად საბჭოთა კავშირში დემოკრატიის გამარჯვების რწმენა გორბაჩოვის ძირითად შეცდომად მიიჩნია, ისტორიულმა მოვლენებმა ამის შეუძლებლობა დაამტკიცაო. გაიხსენა პირველი შეხვედრა შევარდნაძესთან 1990 წელს, ნიუ-იორკში, როცა იგი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო.

— თავს უხერხულად ვგრძნობდით, რადგან არ ვიცოდით, როგორ შეხვდებოდა ბატონი შევარდნაძე ჩვენს პოზიციას. იგი ჩვენთან მოვიდა და გვითხრა, ვიცი, რომ თქვენ ამერიკასთან ეძებთ კავშირს, ჩვენ არ მოგწონვართ, მაგრამ არ ვეჭვიანობთ, რადგან ჩვენც ვეძებთ კავშირს ამერიკასთანო, ამ სიტყვებმა ყოველგვარი ბარიერი დაანგრია და ჩვენს შორის გულღია, სერიოზული საუბარი გაიმართა. მე ამას იმიტომ ვყვები, რომ როცა ამ შეხვედრამდე ერთი წლით ადრე კომუნისტების თანამდებობიდან გადაყენებაზე ჩამოვუგდე სიტყვა გორბაჩოვს, იგი ლამის წამოხტა სავარძლიდან. ეს ორი პიროვნების სხვადასხვა მასშტაბს, პოტენციალსა და შეხედულებებს მიანიშნებს.

შემდეგ ბატონმა ჟელევმა ჟურნალისტებს მოკლედ მოგვითხრო, თუ რაზე ისაუბრეს მან და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა. რომ მათ თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს ბალკანეთსა და კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე, რომ არის რაღაც საერთო, ანალოგიური ამ ორ რეგიონს შორის, რომ ეს კონფლიქტები ჩვენი დროის ყველაზე რთული სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტებია. შეეხნენ ჩეჩნეთის მოვლენებს, გამოხატეს მის მიმართ დამოკიდებულება. საქართველო და ბულგარეთი თავს თვლიან რუსეთის მეგობრად და შეშფოთებული არიან რუსეთის დღევანდელი რთული მდგომარეობით, ამავე დროს აქვთ საერთო აზრი, რომ კონფლიქტი ჩეჩნეთში მშვიდობიანი, მოლაპარაკების გზით უნდა მოგვარდეს. მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკია რუსეთის საშინაო საქმეზე, ადამიანის უფლებები არ უნდა ირღვეოდეს. ბოლოს კი უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა ამ მოკლე, მაგრამ განსაკუთრებულად ნაყოფიერი ვიზიტით.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ბულგარეთის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა მიწვევისათვის. თქვა, რომ პოლიტიკური მოღვაწეობა იმ წლებში, როცა ჟელევმა დაიწყო, იოლი არ იყო, ბრძოლა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ვაჟკაცობას, გამბედაობას, სიბრძნესა და მოთმინებას მოითხოვდა. გამოხატა მისი, დელეგაციის წევრებისა და მთელი ქართველი ხალხის პატივისცემა ბულგარეთის პრეზიდენტისადმი. უთხრა ისიც, რომ მისი ინტერვიუ საქართველოს ტელევიზიით ნებისმიერ ხელშეკრულებაზე წონადი იყო, მასში აშკარად იგრძნობოდა ქართველი ხალხის პატივისცემა და სიყვარული.

— არ შეიძლება ხელი მოეწეროს კარგ ხელშეკრულებას ცუდი ურთიერთობისას. მივედით იმ ეტაპამდე, რომ შეიძლება არა მარტო ოცნება, არამედ ორ ხალხს შორის კარგი ურთიერთობის შენება, თქვა მან და დასძინა, რომ ჟელიუ ჟელევთან საუბრისას თანამედროვე კარდინალური საკითხებისადმი, ბალკანეთსა და კავკასიაში, ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი საერთო მიდგომა გამოიმუშავეს. ისიც თქვა, რომ სახელმწიფო და ეროვნული თვალსაზრისით მათი ინტერესები და შეხედულებები ემთხვევა. და ეს არ არის შემთხვევითი, ჩვენ დემოკრატიულ საზოგადოებას ვაშენებთ.

საქართველოს დელეგაცია ბულგარეთის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრსაც ეწვია. აქ ისინი პასუხისმგებელ სამეურნეო მუშაკებს, სახელმწიფო სამეურნეო სტრუქტურების წარმომადგენლებს, მსხვილი ბანკებისა და ბულგარეთის ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდნენ. — ამ შეხვედრით უკვე იწყება პრაქტიკული მუშაობა და ყველა იმ ხელშეკრულებისა და შეთანხმების ამოქმედება, რომლებსაც დღეს მოეწერა ხელი — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. მერე მოკლედ გააანალიზა ხელმოწერილი დოკუმენტები და აღნიშნა მათი მნიშვნელობა. განსაკუთრებით, სანავსადგურო ქალაქების ურთიერთობებს გაუსვა ხაზი. და იმის გარანტად, რომ ხელშეკრულებები მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩება, სამთავრობათაშორისო კომისიების შექმნა დაასახელა. შეხვედრის მონაწილეებს საქართველოს მხრიდან ამ კომისიის ხელმძღვანელი, ვიცე-პრემიერი ბაკურ გულუა გააცნო.

საღამოს სამთავრობო რეზიდენციის „ბოიანას“ წინ კვლავ დაიგო ნოხი, კვლავ [illegible] საპატიო ყარაული, აჟღერდა ჰიმნები და გაცილების საზეიმო ცერემონიალი ორი ქვეყნის მეთაურთა იმედიანი დამშვიდობებით დამთავრდა.

• • •

თვითმფრინავმა გეზი საქართველოსკენ აიღო. სახელმწიფოს მეთაურს თვითმფრინავში ტრადიციული პრესკონფერენცია არ გაუმართავს და ერთდღიანი მძიმე ვიზიტით დაღლის მიუხედავად, მინისტრებთან თათბირი ჩაატარა. ამიტომ კითხვა, რამდენ ხანში იგრძნობს ხალხი ამ ვიზიტის შედეგს, კითხვად მრჩებოდა. მხოლოდ თბილისის აეროდრომზე დაშვებისას შევძელი ბატონ ბაკურ გულუასათვის მეკითხა, აღმოსავლური სიბრძნით მიპასუხა: მგზავრი ქალაქს მიდიოდა, გზად მოხუცს ჰკითხა, რამდენ ხანში ჩავალო, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ოცი მეტრის გავლის შემდეგ მოხუცმა მიაძახა, საღამომდე ჩახვალო. თუ იცოდი, რატომ მაშინვე არ მიპასუხეო, უკითხავს გაოცებულ მგზავრს. მაშინ არ ვიცოდი, როგორი ნაბიჯებით დადიოდიო. ვიცე-პრემიერის პასუხი ნათელი იყო.

თბილისში აღარ თოვდა, გვარიანად ყინავდა. ბულგარეთისგან განსხვავებით, — არა მარტო გარეთ...

რუსუდან ლორთქიფანიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეც. კორ.

სოფია-თბილისი.

• • •

სურათზე: ბულგარული გაზეთი „ტრუდი“ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტისადმი მიძღვნილი მასალებით.

მერვე სვეტი

განიხილეს აფხაზეთის პრობლემები

17 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან — სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან გაიმართა თათბირი აფხაზეთის საკითხებზე. თათბირში მონაწილეობდნენ ბატონები ჯაბა იოსელიანი, თამაზ ნადარეიშვილი, ზურაბ ერქვანია, ვალერი ვაშაკიძე, ლონდერ ცაავა, პეტრე მამრაძე, შალვა ფიჩხაძე.

სახელმწიფოს მეთაურმა დაავალა აფხაზეთის უზენაეს საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელებს გამოიჩინონ მეტი აქტიურობა ამ პროცესში და უფრო ინტენსიურად ჩაერთონ სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ იმ შეხვედრებში, რომლებზეც განიხილავენ ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებსა და კერძოდ, აფხაზეთის კონფლიქტს.

რუსთავი:

ზრუნვა ხვალისათვის

საქართველოს მწვანეთა რუსთავის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეს ალექსანდრე დედაბრიშვილს ვთხოვეთ მოეთხრო, თუ რა კეთდება მეტალურგთა ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელი მომავლის უზრუნველყოფისათვის.

მწვანეთა მოძრაობის წევრები, — გვითხრა ბატონმა ალექსანდრემ, — ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რათა რუსთავი გახდეს ჯანმრთელობის მძლავრი კერა. კერძოდ, ამ მიზანს ემსახურება ქალაქის ეკოლოგიური კომისია, სადაც ვიხილავთ ეკოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენ უკვე მივიღეთ სამი პროექტი. ესენია ეკოლოგიური პოლიციის შექმნისა და საგადასახადო ჯარიმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. მოგახსენებთ, რომ პროექტი ეკოლოგიური ფონდის შესახებ უკვე ძალაშია, სპეციალური ანგარიშებიც გავხსენით.

გარდა ამისა, მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა დავამყარეთ ქალაქის სხვადასხვა საწარმოებთან და პირველი შენატანიც მივიღეთ. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ფონდის ხაზით მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქს მყარი ეკოლოგიური ბაზა შეემატა, რამეთუ რუსთავის საწარმოები ამ ფონდში სოლიდურ თანხებს რიცხავენ.

ახლა ჩვენი საქმიანობის ყურადღების ცენტრშია ტყე-პარკი, რომელიც 105 ჰექტარ ფართობს ფლობს...

გვეხმარებიან ავსტრიული და გერმანული ფირმები

რესპუბლიკაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური ვითარება, ბევრადაა განპირობებული უმწვავესი კრიმინოგენური ვითარებით, საბაზრო ეკონომიკის განვითარებასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას სერიოზულად ამუხრუჭებს დამნაშავეობის მაღალი დონე.

სამართალდამცავ ორგანოებს მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებშიც კი უჭირთ უახლესი ტექნიკით აღჭურვილ მობილურ დამნაშავეთა სამყაროსთან ბრძოლა.

და აი, მათ დახმარებლად გამოჩნდნენ ავსტრიის რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმები „იდუა აგე“, „კრიოტლერი“, „ალკატელი“, „აეგ მობილ კომუნიკეიშენ“, მათ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის თხოვნით შეიმუშავეს პროექტი პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უახლესი ტექნიკით აღჭურვის შესახებ.

პირველი შედეგები უკვე სახეზეა, ამჟამად თბილისის პოლიცია აღჭურვილია რადიოკავშირის თანამედროვე აპარატურით.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამაში 1995 წლისათვის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

1. **ცნობად** იქნეს მიღებული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 11 აგვისტოს № 829 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

2. გაუგრძელდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების უფლებამოსილება 1995 წლის ბოლომდე, ამავე დროს მასვე მიეცეს უფლება დაამტკიცოს ობიექტების ნუსხა, რომელთა პრივატიზაცია არ არის გათვალისწინებული პრივატიზაციის პროგრამით.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

1. **დაინიშნოს** კოტე კაპანაძე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატთან არსებული საზღვარგარეთულ კერძო ბიზნესთან ურთიერთობის განვითარების ხელშემწყობი საბჭოს ხელმძღვანელად, მთავარ სახელმწიფო მრჩევლად. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კოტე კაპანაძე [illegible] აგრეთვე, კორპორაცია „თბილისის“ ხელმძღვანელად.

გათავისუფლდეს კოტე კაპანაძე თბილისის ვიცე-მერის — მუნიციპალიტეტის პრემიერის თანამდებობიდან.

მიღებულ იქნეს თბილისის მერიის წინადადება და დროებით თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერის მოვალეობის შესრულება დაეკისროს თბილისის მერს ნიკო ლეკიშვილს.

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 17 იანვარი.

ენერგეტიკა

ნავთობი თურაშაული არ გეგონოთ

ერთ ჩემს ამასწინანდელ წერილს არც თუ შემთხვევით „ნავთობზე მცურავი ნავთობის მათხოვრები“ დავარქვი. ვფიქრობ, იგი ზუსტად ასახავს საქართველოში ნავთობის მარაგისა და მოპოვების რეალურ თანაფარდობას. მართლაც პარადოქსია, ქვეყანას, რომელსაც ნავთობის უმდიდრესი პროგნოზული რესურსები გააჩნია (ჩვენი და უცხოელი სპეციალისტების მონაცემებით), დღეს უმწვავესი ენერგეტიკული კრიზისი აწუხებს.

როდემდე ვიქნებით სხვა ქვეყნებისკენ ხელგაწვდილი? თუ საკუთარ ქვეყანას არ გავძარცვავთ და არ იავარვქმნით, ორ-სამ წელიწადში სულს მოვითქვამთ, თუ არა და, მუდმივად მათხოვრები დავრჩებით.

ალბათ მკითხველი მიხვდება ქვებს ვისკენაც ვისვრი. იმათკენ, ვინც საკუთარი გამდიდრების წყურვილს მშობლიური ქვეყნის სიმდიდრის განადგურების ხარჯზე იკმაყოფილებს. ასეთი არამზადა, ოღონდ თვითონ იყოს ყინჩად და არ დაეძებს, რა ზიანს მიაყენებს დედაბუნებას, მოზარდ თაობას კუსტარული ნავთობსარეწი, სადაც ის ნაყაჩაღარი ნავთობიდან ბენზინს ხდის და მისი რეალიზაციიდან მიღებული ვალუტით ჯიბეს ისქელებს. სწორედ ასეთებმა საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონებში (და არა მარტო ამ რაიონებში) არაერთი ოაზისი უდაბნოდ აქციეს და ადამიანთა ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაყენეს.

აუწერელია ზარალი (ეს ჯერ კიდევ აღრიცხული და გაანალიზებული არ არის), რაც ბენზომაფიამ და ნავთობის ყაჩაღებმა დაუძლურებულ საქართველოს [illegible]. მათ შარშან მოპოვებული ნავთობის სულ ცოტა ორი მესამედი მაინც მიიტაცეს. და განა მარტო მიიტაცეს? ნავთობის საწარმოები ულმერთოდ წველეს (ყაჩაღი ხომ ამოღების წესებსა და ნორმებს არ დაიცავდა) და ისინი ტექნოლოგიურად მთლიანად მოშალეს.

მარტო ეს რომ იყოს, რა გვიჭირდა. ნავთობის ყაჩაღების შემყურე ავსტრალიელმა ინვესტორებმა, რომლებიც სამგორის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობაზე მუშაობდნენ, საქმეზე გული აიცრუეს, გუდა-ნაბადი აიკრეს და მშობლიურ ქვეყანას მიაშურეს.

ამ საქმეში, არა მგონია, სუფთად გამოიყურებოდნენ (ნავთობმა ეტყობა ყველა დასვარა) ადგილობრივი მმართველობისა და კანონიერების დაცვის სამსახურის მუშაკები, რომელთაც მაშინ შარაგზის ყაჩაღებისაგან ჭაბურღილების დაცვა ევალათ.

დიახ, ნაპარავი მაზუთით იყვნენ დასვრილნი, რის გამოც თურმე ფეხი უსხლტებოდათ და, მტაცებლებთან ეფექტიან ბრძოლაში ხელი ეშლებოდათ.

— აბა, ახლა ნახეთ იქ როგორი წესრიგია, — მეუბნება „საქნავთობის“ დეპარტამენტის თავმჯდომარე **რევაზ თევზაძე**, — მას შემდეგ, რაც ეს საქმე შინაგანი ჯარების ახალ სარდალს გია თორაძეს ჩააბარეს, ნავთობის საწარმოებიდან წვეთიც აღარ დაკარგულა. ნავთობმა კერძო ხელებიდან მთლიანად სახელმწიფოებრივში გადმოინაცვლა. ახლა მისი ნაკადი რამდენიმე ათეული ტონიდან დღიურად 300-300 ტონამდე გაიზარდა.

დიდია ამ ფაქტის მნიშვნელობა. ამან დღესდღეობით მოწანწკარე საქართველოს ნავთობიც გადაარჩინა და უცხოელი ინვესტორებიც შემოაბრუნა. ავსტრალიელები, რომლებმაც, გეგონა, ხელი საბოლოოდ ჩაიქნიეს, თანახმანი არიან გააგრძელონ მცირეგაბარიტიანი მოდულური ტიპის



ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, აგრეთვე თბილისისპირეთში (ნორიო-საცხენისი) და დედოფლისწყაროს (მირზაანი, პატარა შირაქი, ტარიბანა) ნავთობშემცველ რეგიონებში აწარმოონ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები.

— უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ნავთობის მარაგი დაიგულეს, თორემ უცხოელები ჩვენში, თანხებს რატომ ჩაყრიდნენ?

— რა თქმა უნდა. შეიძლება ითქვას, ამ მხრივ გული საგულესა აქვთ. ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური გეოლოგიური, სამეცნიერო და პრაქტიკული მონაცემებით საქართველოში ნავთობის პროგნოზული რესურსები 560 მილიონი ტონის ტოლია. აქედან 200 მილიონი ტონა ზღვაშია, ხოლო 360 მილიონი ტონა — ხმელეთზე. დღემდე ამოღებულია 26 მილიონი ტონა ნავთობი, რაც პროგნოზული მარაგის მხოლოდ 7 პროცენტს თუ შეადგენს.

— ეს კარგია, რომ ნავთობის დიდი მარაგი გვაქვს, მაგრამ უკეთესი არ იქნებოდა, იგი ჩვენ თვითონ მოგვეპოვებინა?

— აგაშენათ ღმერთმა. მარტო უკეთესი კი არა, ჩვენთვის უპრიანიც იქნებოდა, მაგრამ იმას რატომ აღარ იტყვით, ნავთობი რა სახსრებით და რა ტექნოლოგიით უნდა მოვიპოვოთ?

სხვათა შორის, ამგვარად საკითხს დღეს ბევრი აყენებს. ზოგს ნავთობის ამოღება ნინიას ბაღში თურაშაულის მოკრეფა ჰგონია.

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

1995 წლის 13 იანვარს გაიმართა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა პრემიერ-მინისტრის მოადგილე ზურაბ ქერვალიშვილი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სადღეისოდ რესპუბლიკაში ბევრი სახელმწიფო საწარმო, ფაქტობრივად, გაბანკროტდა, რაც იმით არის გამოწვეული, რომ არ ხერხდება მათი უზრუნველყოფა რესურსებით. ამის ნიადაგზე კი მათ ვერ შეძლეს სტაბილური სამეურნეო ფუნქციონირება და შესაბამისად უუნარო აღმოჩნდნენ დააკმაყოფილონ კრედიტორთა მოთხოვნები. იმსჯელა რა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 8 სექტემბრის დეკრეტის „საწარმოთა გაკოტრების შესახებ" საფუძველზე გაკოტრებულად ცნო ზოგიერთი საწარმო. ასევე მიიღეს გადაწყვეტილება განისაზღვროს ზოგიერთი საწარმოს მდგომარეობა მათი მესაკუთრეობისა და ფუნქციონირების მიხედვით, რაც დაევალა საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროებსა და მართვის ადგილობრივ ორგანოებს.

მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს დებულება „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემისას საიჯარო ქირის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ". ასევე იმსჯელეს და დაამტკიცეს დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების ღონისძიებების შესახებ". დამატებით განიხილეს დებულება „უცხოური ვალუტის გადაცვლითი პუნქტების ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისა და საქმიანობის სრულყოფის შესახებ". აღნიშნული დებულება სრულყოფს უცხოური ვალუტის გადაცვლის სისტემასა და მისგან ამოღებული თანხების ბიუჯეტში მოხვედრის მექანიზმს, რაც გამორიცხავს „შავ ბაზარზე" უცხოური ვალუტის გადინებას.

განიხილეს და დაამტკიცეს დადგენილებები „პურისა და ფქვილის რეალიზაციიდან ბიუჯეტში ფიქსირებული გადასახადის შესახებ" და „ელექტროენერგიის განაწილების ახალ პრინციპზე გადასვლის შესახებ". ბოლო დადგენილებით გათვალისწინებულია შეზღუდული ელექტრორესურსების ოპტიმალური გამოყენება, ელექტრომომარაგების საქმეში ადგილობრივი მართვის ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერება, საბაზრო ურთიერთობების დანერგვის დაჩქარება. აღინიშნა, რომ აუცილებელია „საქენერგოს" დეპარტამენტის ფინანსური მდგომარეობის სტაბილიზაცია.

სათანადო ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საქენერგოს დეპარტამენტს უფლება აქვს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ელექტროენერგიის მიწოდება მისი საფასურის დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში. ხელმძღვანელები პირადად აგებენ პასუხს, თუ იმათ რეგიონებში დაირღვა ნორმალური ცხოვრების პირობები ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდების გამო.

გამოვიძიოთ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის საქმიანობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ოთარ ზენიძემ ღია მიმართვა გაუგზავნა რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრს ბატონ ვალენტინ კოვალიოვს.

მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია:

ბატონო მინისტრო! კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას, რომელმაც თავი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გამოაცხადა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ გაუვლია სახელმწიფო რეგისტრაცია თქვენს უწყებაში. მიუხედავად ამისა, იგი უხეშად თელავს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რუსეთის კონსტიტუციასა და სხვა კანონებს, აგრეთვე, ჩვენი სახელმწიფოების ტერიტორიისა და თანამეგობრობის ხელშეკრულებას. კვლავინდებურად ერევა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში და სამხედრო და სხვა დახმარებას უწევს ვ. არძინბას სეპარატისტულ რეჟიმს.

ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობს, აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. მაგრამ, როგორც კი გაჩნდება ამის იმედი, ზემოაღნიშნული ძალები ყოველნაირად ცდილობენ სამშვიდობო პროცესის ჩაშლას. 1992 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტრომ გააკეთა განცხადება ამ ორგანიზაციის უკანონობის შესახებ და მიიჩნია, რომ არსებობს ყველა საფუძველი, რათა რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ გამოიძიოს ორგანიზაციის ხელმძღვანელთა საქმიანობა.

დღესდღეობით ყველაფერი ძველებურად რჩება, ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, განაახლოთ კონფედერაციის საქმიანობის გამოძიება და ყველაფერი იღონოთ არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ მთელ კავკასიის რეგიონშიც დესტაბილიზაციის ამ კერის ლიკვიდაციისათვის.

პატივისცემით,

ოთარ ზენიძე,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

ყველამ უნდა აგოს პასუხი საკუთარი ქმედებისათვის

13 იანვარს. ე. წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი ცადა განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი შეიარაღებული პროვოკაცია. დეპუტატების — თენგიზ კიტოვანისა და თენგიზ სიგუას ხელმძღვანელობით 300-ზე მეტმა შეიარაღებულმა ადამიანმა თითქმის ათამდე ავტობუსით, სხვა ავტომანქანებით და გაემართნენ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. გზად გაიტაცეს სურსათი დილმის ბაზრიდან, გორის შესასვლელთან განლაგებული ბაზიდან, უკანონო შეიარაღებული ფორმირების ლიდერთა განცხადებით, მათ მიზანს ვითომდა წარმოადგენდა აფხაზეთში შესვლა, თუმცა, ცნობილი გახდა, რომ ისინი საკმაოდ დიდი ხნით აპირებდნენ სენაკში დაბანაკებას, იქ შეიარაღებული შტაბის მოწყობას, ამ რეგიონში სხვადასხვა უკანონო ღონისძიებების განხორციელებას. ძრავლისმეტყველია, რომ „მოლაშქრეთა" შორის იყვნენ მძიმე დანაშაულებებისათვის ძებნილნი. უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებას ნაძარცვ პროდუქტებთან ერთად აღმოაჩნდა დიდძალი იარაღი.

ამ ავანტიურას არაფერი აქვს საერთო აფხაზეთში დაბრუნებასთან, ნათელია, რომ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად რამდენიმე ასეული არაორგანიზებული და სათანადო მომარაგებას მოკლებული ადამიანით რუსეთის სამშვიდობო ძალების კორდონის გარღვევა და აფხაზეთში სამხედრო წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.

ეს აქცია მხოლოდ სასურველ საბაბს მისცემდა აფხაზ სეპარატისტებს, მათთვის საკმაოდ მძიმე პერიოდში გაეცხოველებინათ ანტიქართული საქმიანობა, მიეყენებინათ ახალი დარტყმა აფხაზეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ქართული მოსახლეობისათვის. შემთხვევითი არ არის, ისიც, რომ პროვოკაცია დაიწყო სწორედ მაშინ, როდესაც რუსეთთან თანამშრომლობის შედეგად გაჩნდა აფხაზური პრობლემის მოგვარების ახალი პერსპექტივები.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი თვლის, რომ 13 იანვრის ავანტიურას ჰქონდა ერთადერთი მიზანი: დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ სენაკში, ხელისუფლებასთან დაპირისპირების ცენტრის შექმნა, აფხაზეთის საბაბით გაწამებული ლტოლვილი მოსახლეობის აყოლიება, ნაცადი და ყველასათვის ცნობილი მეთოდებით „მოლაშქრეთა" კვებისა და ჩაცმის პრობლემის გადაწყვეტა.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი მიესალმება სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიულ და პროფესიულ მოქმედებას, რომლებმაც უსისხლოდ განაიარაღეს პროვოკატორები და აღადგინეს საზოგადოებრივი წესრიგი. მათ დაანახვეს ყველას, ვისთვისაც სამართლისა და კანონიერების აღდგენა არ არის სასურველი, რომ ქართული სახელმწიფო არსებობს და იგი აღარ დაუშვებს მიბრუნებას საყოველთაო ანარქიისაკენ.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ საქმე ბოლომდე იქნეს მიყვანილი, პასუხი გაეცეს ყველა შეკითხვას:

— როგორ აღმოჩნდა ავანტიურისტების ხელში ამდენი იარაღი?

— ვინ იდგა მათ ზურგს უკან საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ?

— რისი ან ვისი იმედით დაიწყო ეს პროვოკაცია.

მხოლოდ ამომწურავი და მიუკერძოებელი პასუხები ამ შეკითხვებზე საბოლოოდ ალაგმავს შეიარაღებული ავანტიურების მოყვარულებს და იმათაც, ვინც ათასგვარი დემაგოგიით პოლიტიკურ საფარველს უქმნის მათ თარეშს. ყველამ მთელი სიმკაცრით უნდა აგოს პასუხი საკუთარი ქმედებებისათვის. აფხაზეთისა თუ ნებისმიერი სხვა პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ძლიერ ქართულ სახელმწიფოს შეუძლია, ხოლო სახელმწიფოს ძლიერების საწინდარი კანონის უზენაესობაა.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პრეს-სამსახური.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორს

„**რკინიგზის** ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს 1994 წლის 12 მაისის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1994 წ., № 18, მუხ. 371) გაიპარა უზუსტობა. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ შესწორება:

მე-9 მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და სატრანსპორტო პოლიცია"; ამავე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მიმღებ-გამგზავნის წინაშე მატერიალური პასუხისმგებელია რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი".

ვახტანგ გოგუაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი — პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

თბილისი, 1994 წლის 14 ნოემბერი.

ნავთობი თურაშაული არ გეგონოთ

(დასასრული)

ასე არ არის ბატონებო, ნუ გვავიწყდება, რომ რეგულარული მექანიზმებით გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები საქართველოში მხოლოდ 1930 წლიდან დაიწყო (მანამდე ნავთობს პრიმიტიული წესით მოიპოვებდნენ), როცა შეიქმნა ტრესტი „საქნავთობი". ამ ხნიდან მოყოლებული, მთელი 43 წელიწადი ელოდა საქართველო სამრეწველო მნიშვნელობის მარაგებს.

ნავთობის მრეწველობის ნამდვილი აღმავლობა 1974 წლიდან იწყება, მას შემდეგ, რაც სამგორი-პატარძეულის საბადოს დამუშავება დაიწყო. მას მოჰყვა შედარებით მცირე საბადოების (სამგორის სამხრეთ გუმბათის, ნინოწმინდის, რუსთავის და სხვათა) ამოქმედება. შედეგიც იყო — ამოღებული ნავთობის მთლიანმა რაოდენობამ 25 მილიონ ტონას გადააჭარბა. იყო პერიოდები, როცა წლიურად 3 მილიონ 300 ათას ტონა ნავთობს მოვიპოვებდით, ვაწვდიდით ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას და მიღებული პროდუქცია მთლიანად ხმარდებოდა რესპუბლიკის საჭიროებას.

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ისტორიას ჩაბარდა. წავიდა ის დრო, როცა ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და მასალების 99 პროცენტი გარედან, ცენტრალიზებული წესით შემოგვქონდა. უკვე 4 წელზე მეტია, ასეთი მომარაგება შეწყდა. ამას დაემატა საფინანსო და სატრანსპორტო კავშირების შეწყვეტაც, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. რეალობა ის გახლავთ, რომ ჩვენი მენავთობეები ახლა წლიურად უმნიშვნელო რაოდენობას — 100-150 ათას ტონას იღებენ. და ეს მაშინ, როცა საწვავის დეფიციტმა ლამის ქვეყანა გამოღრღნა.

რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? საბადოები კი გვაქვს, მაგრამ მათი ქვეყნის სამსახურში ჩასაყენებელი სახსრები რომ არ გაგვაჩნია? თუ გავითვალისწინებთ, რომ სამგორის საბადოს გახსნას ოთხ ათეულ წელზე მეტი დასჭირდა, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რა პრობლემის წინაშეც ვდგავართ. საჭიროა დიდძალი კაპიტალდაბანდებები, ნავთობმრეწველობის ახალი ტიპის დანადგარები, სხვა საშუალებები, რის შესაძლებლობაც ქვეყნის გამოცარიელებულ ხაზინას, რა თქმა უნდა, არა აქვს.

— და ალბათ არც დეპარტამენტს?

— დიახ, „საქნავთობსაც", ისევე, როგორც ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს, მძიმე კრიზისი უდგას. იმის გამო, რომ ენერგეტიკული კომპლექსის ყველა დარგი გადახდისუუნაროა, დეპარტამენტი პროდუქციის რეალიზაციიდან იმდენ შემოსავალსაც ვერ იღებს, რომ კოლექტივი შეინახოს. ჩვენი პროდუქციის მომხმარებლებს — თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებს, სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის სამეურნეო სამმართველოებს, მაშველთა კორპუსს — უკვე ერთ წელზე მეტია არაფერი გადაუხდიათ. ამ ხნის მანძილზე ჩვენს ანგარიშზე მოხვდა რეალიზებული პროდუქციის ღირებულების მხოლოდ 10 პროცენტი. და ეს მაშინ, როცა საგადასახადო ორგანიზაციებმა ჩვენგან ამონაგები თანხის 11 პროცენტის გადახდა მოითხოვეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, მათ ვერ დავემდურებით (ისინი კანონის ფარგლებში მოქმედებენ), მაგრამ რა ქნას დეპარტამენტის კოლექტივმა, რომელსაც საახალწლო ხელფასიც კი არ მიუღია?

ვფიქრობთ, ეს საკითხი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და იგი სამთავრობო დონეზე უნდა გადაიჭრას.

— ასეთ პირობებში გამოსავალს რაში ხედავთ?

— უცხოეთის ინვესტიციების მოზიდვაში. ჩვენი ხსნა მხოლოდ ამაშია. თუ გვინდა, რომ წარმატებას მივაღწიოთ, საქართველოს ნავთობის მრეწველობაში უცხოური კაპიტალი უნდა დავაბანდოთ. სამ წელზე მეტია ამისთვის იღწვის ჩვენი დეპარტამენტი, რომელმაც საზღვარგარეთელ პარტნიორებთან არა თუ კონტაქტები დაამყარა, არამედ ერთგვარ შედეგებსაც მიაღწია. მათთან დადებულია კონტრაქტები, რომლებიც გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს, ნავთობის ძველი, გამოფიტული საბადოების ინტენსიფიკაციას და ახალი ნავთობგადამამუშავებელი დანადგარების მშენებლობას ითვალისწინებს.

უპირველესად ინგლისურ ფირმა „ჯაპიკენზე" მინდა მოგითხროთ. ჩვენ მასთან შევქმენით ერთობლივი საწარმო, რომელიც დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის შელფურ ნაწილში, აგრეთვე ქართლის ნავთობშემცველ რეგიონებში გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს შეასრულებს. შარშან, 19 დეკემბერს ფოთში უკვე გადმოიტვირთა ინგლისელების მიერ გამოგზავნილი საბურღი დანადგარებით სავსე გემი (მალე მას სხვებიც მოჰყვება). ტვირთი უკვე გადაზიდულია სუფსაში, სადაც პირველი უცხოური ჭაბურღილი ამოქმედდება. მის დამონტაჟებაზე იმუშავებენ ინგლისელი სპეციალისტები, რომლებიც საწარმოს ამოქმედებას თებერვლის პირველ დეკადაში ვარაუდობენ. ამასთან ერთად ისინი შეასრულებენ სუფსის, შრომის უბნის, ჩოლადიდის ძველი საბადოების ინტენსიფიკაციის სამუშაოებს.

ერთობლივი საწარმო შევქმენით ამერიკულ ფირმა „მაკოილთაინაც", რომლის სამუშაო პროგრამა მცირედებიტიან საბადოებში (ნინოწმინდა, მანავი, დასავლეთ რუსთავი) ნავთობის მოდენის გაზრდის მიზნით ჰორიზონტული ბურღვის მეთოდის გამოყენებას ითვალისწინებს. ამას წინათ ფირმის პრეზიდენტს, ჯონ [illegible] საქმიანი შეხვედრა [illegible] ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან. ამერიკიდან უკვე მივიღეთ დეპეშა, რომელშიც აღნიშნულია, რომ იანვრის ბოლოს საქართველოსკენ საბურღი დანადგარებით დატვირთული გემი გამოემგზავრება.

ავსტრალიელი ინვესტორების შემობრუნებაზე უკვე მოგახსენეთ. ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს ისლანდიის ერთ-ერთ კომპანიასთან, რომელმაც სურვილი გამოთქვა თავისი კაპიტალი ახმეტის რაიონის ნავთობშემცველ ადგილებში დააბანდოს.

ეს ფაქტები საქართველოს ნავთობის მრეწველობის ისტორიაში ახალი ერის დაწყებას მოასწავებს. უცხოელმა ინვესტორებმა იწამეს ქართული ნავთობის პერსპექტივა, მისი პოტენციური შესაძლებლობები და მხოლოდ ამის შემდეგ საქმეში პირველი მილიონი დოლარი ჩადეს.

— ბატონო რევაზ, — ვკითხე საუბრის დასასრულს, — რას იტყოდით იმ აჟიოტაჟთან დაკავშირებით, რაც ბათუმთან ახლოს ზღვაში გაზის მარაგის აღმოჩენამ გამოიწვია?

— ამაზე პასუხს ინგლისელების მიერ ზღვაში დადგმული ჭაბურღილი გასცემს — მითხრა მოკლედ და გაჩუმდა.

[illegible] ქართველებს ხშირად ახარებს (ზოგჯერ [illegible]) [illegible] ის კოშკები გვგონია? ერთია ზღვის ზედაპირზე მოგროვილი აირით ყავის მოდუღება და მეორე — მისი მილებში მოქცევა და ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში ჩაყენება. თურმე კოლხეთის ჭაობიც სავსეა გაზით, მაგრამ, თუ იცით რატომ ვერ ვსარგებლობთ? მისი ამოღება-გადამუშავება თურქმენეთის გაზზე ათჯერ ძვირი დაგვიჯდება და იმიტომ.

ასეა და რას იზამ.

სხვათა შორის, ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ ჩემი თანამოსაუბრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნავთობის კათედრის პროფესორი და საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტია. ბატონმა რევაზმა 17 წელიწადს იმუშავა მაშინდელი საკავშირო გეოლოგიის სამინისტროს სისტემაში, სადაც ავტორიტეტი მოიპოვა. სწორედ მისი დიდი გარჯილობითა და ხელმძღვანელობით დამტკიცდა და გაიხსნა მადნეულის საბადო. აი უკვე ოცდაერთი წელიწადია მეცნიერი პრაქტიკოსი „საქნავთობს" თავკაცობს.

ასეთ კაცს, როგორც იტყვიან, არა თუ მართალი, ტყუილიც დაეჯერება.

ოთარ ხუციშვილი.

პრივატიზაცია

მზად ვართ ვაუჩერების გასაცემად?

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია რესპუბლიკის მოქალაქეებზე საპრივატიზაციო ბარათების უსასყიდლოდ ანუ ვაუჩერების სახით გაცემა. ვაუჩერი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს თავდებობას, თავდებად დადგომას. ამ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდის მფლობელთა წინაშე თავდებობს საწარმო. ვაუჩერი არის საშუალება, რომლითაც ფულადი კაპიტალის მფლობელი უფლებას იძენს სამრეწველო კაპიტალთანამფლობელიც გახდეს და ამ კაპიტალის მმართველიც. ვაუჩერით მოხდება სახელმწიფო ქონების ნაწილის პრივატიზაცია. რაც მთავარია, ვაუჩერის მფლობელი სრული ნდობისა და აზრთა ურთიერთგაზიარების საფუძველზე მონაწილეობს წარმოების მართვაში.

საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების დარიგება მოხდება მიმდინარე წელს და ამ დროისათვის აქტიურად ამოქმედდება რეგისტრირებული სპეციალური საპრივატიზაციო საინვესტიციო ფონდებიც.

ვაუჩერი ფასიანი ქაღალდია და ის ვაუჩერის ყოველმა მფლობელმა უნდა გამოიყენოს მაქსიმალურად, რათა ნაწილობრივ მაინც შეივსოს ოჯახური ბიუჯეტი. სასურველი არ არის ვაუჩერის არადანიშნულებისამებრ გამოყენება ([illegible] მისი გაყიდვა ნომინალურ ან გაცილებით ნაკლებ ფასში).

ჩვენს პირობებში, როდესაც მოსახლეობა მძიმე ეკონომიკურ პირობებში იმყოფება, მოსალოდნელია ვაუჩერის გაყიდვამ მასობრივი ხასიათი მიიღოს და იგი საქმოსნების ხელში მოხვდეს.

საპრივატიზაციო ბარათების პრობლემა ყველას აღელვებს, ვინაიდან უსასყიდლოდ მისი მიღების უფლება აქვს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს განურჩევლად ასაკისა, დადგენილი წესის მიხედვით.

ბევრის აზროვნებაში ვაუჩერი ჯერ კიდევ არ გამორჩეულა კუპონის ან დოლარის ცნებას. საპრივატიზაციო ბარათების სამოქმედოდ შემოღებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველაზე ნაყოფიერი შრომის მოდიფიკაციას, მწარმოებლისა და აქციების მფლობელს შორის ხელსაყრელი ურთიერთობის მექანიზმის შექმნას, მეწარმეთა რიცხვის გაზრდას და რაც მთავარია, მოსახლეობის მესაკუთრედ და მოგების მიმღებად გადაქცევას.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე იღებს ერთ საპრივატიზაციო ბარათს, რომელიც საერთო სახელმწიფო (საპრივატიზაციო) ქონებიდან განსაზღვრული წილის მიღების უფლებას იძლევა. საპრივატიზაციო ბარათის მფლობელს მისი გასაჩუქრების, აქციებზე გადაცვლის და გაყიდვის უფლება აქვს. ასევე შეუძლია გამოიყენოს როგორც გადახდის საშუალება საპრივატიზაციო ობიექტების ყიდვის, ასევე სპეციალიზებული საინვესტიციო ფონდის აქციების შეძენის დროს.

საპრივატიზაციო ბარათი გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. მისი ფასი შეიძლება იყოს ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ან ნაკლები, რაც დამოკიდებულია ყიდვა-გაყიდვაში ბარათების რაოდენობაზე, გაზრდილი მოთხოვნილების პირობებში ბარათის ფასი გაიზრდება. მოქალაქეებს შეუძლიათ საპრივატიზაციო ბარათები გაცვალონ სხვა ფასიან ქაღალდებზე, სათანადო დივიდენტის მიღების უფლებით პრივატიზაციის სპეციალიზირებულ საინვესტიციო ფონდში.

დღევანდელი ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ჩვენი წარმოება-დაწესებულებები, მათი ხელმძღვანელები, კოლექტივის წევრები ვითომ მზად არიან საქმის ცოდნით შეხვდნენ ვაუჩერიზაციას, ხელი შეუწყონ ვაუჩერის მფლობელებს ვაუჩერის გამოყენებაში?

ახლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ ვაუჩერის გაცემას საწარმოები მომზადებული შეხვდნენ. თავიდან ავიცილოთ ისეთი დაბნეულობა, რაც საყოფაცხოვრებო ობიექტების, მაღაზიების, საწარმოების პრივატიზაციისას და თუ გნებავთ, კუპონების დაუსრულებლად გამოშვებისა და სესხად გაცემისას დაგვემართა. რაიონული გამგეობები ამთავითვე უნდა შეუდგნენ საწარმოების ხელმძღვანელებთან, მათი კოლექტივის წევრებთან ერთად, ეკონომისტების, ფინანსისტების, იურისტების, სტატისტიკური სამმართველოს, ქონების მართვის სამმართველოს, ბანკირების, მეწარმეების და სხვა სპეციალისტების მონაწილეობით ღონისძიებების შემუშავებას საპრივატიზაციო ბარათების სისტემის შემოღებასთან დაკავშირებულ საკითხზე. საპრივატიზაციო ბარათები [illegible] პირთა სიების [illegible] გამოშვებას და [illegible] ტერიტორიაზე არსებული [illegible] და სხვა [illegible] სამსახურების [illegible].

ბარათების მიღების მქონე პირთა სიების დასადგენად რაიონულ გამგეობებთან შექმნილია მუშა კომისიები, ხოლო ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების მთავარი სამმართველო (უფროსი პ. გელაშვილი). მოქალაქეთა სიების შედგენა წარმოებს საბინაო საექსპლოატაციო უბნებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, როგორც კომუნალურ, ისე კერძო და კოოპერატიული საცხოვრებლებისათვის.

ბარათების გაცემის ოპერაციას შეასრულებს შემნახველი ბანკი იმ პირთა სიების მიხედვით, რომელთაც აქვთ რაიონული მუშა კომისიებიდან საქართველოს შემნახველი ბანკის განყოფილებაში გამოგზავნილი საპრივატიზაციო ბარათების მიღების უფლება. ბარათი გაიცემა სიაში მითითებულ მოქალაქის კანონიერ წარმომადგენელზეც (მეურვეზე, მზრუნველზე, მინდობილობის მქონე პირზე).

ახლა მთავარია, ვაუჩერების მიმღებთა სია დროულად და უნაკლოდ წარმოვადგინოთ. შემოწმებით გამოვლინდა, რომ რაიონული მუშა კომისიებისა და მათი აღმასრულებელი სამსახურების მიერ ამ მხრივ გაწეული მუშაობა არასაკმარისია. საპრივატიზაციო ბარათების მიმღებ მოქალაქეთა სიები არ არის სრულყოფილი, ზოგიერთ რაიონში ვერ მოხერხდა მათი ბოლომდე დაზუსტება დებულებით გათვალისწინებული ფორმების მიხედვით.

ამ საქმეს თავი უნაკლოდ გაართვეს საბურთალოს, კრწანისის, ჩუღურეთის, სამგორის გამგეობებმა. სიები შედგენილია დებულების შესაბამისად. მოსახლეობა სიებს ეცნობა, გამგეობის შენობაში სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, დადგენილია ბარათის გამცემი შემნახველი ბანკის ადგილობრივი დაწესებულებების ნუსხა, გამოყენებულ თანამშრომლები და ორგანიზაციები კომპიუტერული დამუშავებისათვის.

პურის ფასის მომატებამ ოქტომბრის თვეში შეამცირა პურის ბარათების მიმღებთა რაოდენობა, თბილისელი მოქალაქეები ორი და სამი პასპორტის მფლობელები ყოფილან, ჩაწერილნი არიან სხვადასხვა რაიონებში და წლობით აქვთ გამოკეტილი ან გაქირავებული ბინები, ქალაქში ჩაწერის, საბინაო აღრიცხვაზე აყვანის, ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის დაუფლების მოტივით ადგილი ჰქონდა ფიქტიურ ქორწინებებსა და განქორწინებებს.

დროა ქალაქის მმართველობამ შეიმუშაოს ისეთი მექანიზმი, რომ ადამიანის დაბადების, გარდაცვალების დროული და ზუსტი ფიქსირება ხდებოდეს მობინადრეთა პირად ბარათებში, წინააღმდეგ შემთხვევაში მკვდარი სულები ვაუჩერების გამცემისასაც გვეყოლება.

ქალაქში მცხოვრებ მოქალაქეთა ზუსტი აღრიცხვა და ამასთან დაკავშირებული საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებაში შემოღება უდიდესი ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის ღონისძიებაა და მის განხორციელებაზე მერიასთან ერთად პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული მმართველობითი რგოლების, შინაგან საქმეთა ორგანოების, შემნახველი ბანკების, კავშირგაბმულობის, ქონების მართვის სამმართველოს და სხვ.

მოუთმენლად ველოდები ვაუჩერის მიღებას, რომლითაც სააქციო საზოგადოება „ელექტროაპარატში" აქციებს შევიძენ. მჯერა, რომ საწარმო მხოლოდ მოგებით იმუშავებს, რაც უზრუნველყოფს აქციებზე დივიდენდის მიღებას. ამ კოლექტივთან ჩემი ჩამოყალიბებიდან მაკავშირებს ადამიანური, კეთილმეგობრული, საქმიანი ურთიერთობა, რასაც ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდად ვთვლი.

ამიტომაც მეამაყება ამ საწარმოს სააქციო საზოგადოების წევრობა, რომლის თავმჯდომარეა ბატონი გურამ გზირიშვილი და მზად ვარ აღმოვუჩინო ყოველმხრივი დახმარება ელექტროაპარატელთა აქციონირება-პრივატიზაციას.

ოთარ თოლორაია,

ქალაქ თბილისის მერიის საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

უკრაინის საელჩო საქართველოს რესპუბლიკაში მოგმართავთ თხოვნით გამოაქვეყნოთ შემდეგი შინაარსის განცხადება: „უკრაინის პრეზიდენტის 1994 წლის 10 დეკემბრის № 757 ბრძანებულებით გაუქმებულია უკრაინის საკრედიტო ფონდი, რომელიც შექმნილი იყო უკრაინის პრეზიდენტის 1994 წლის 18 მარტის № 97 ბრძანებულებით, აგრეთვე 1994 წლის 10 დეკემბრიდან შეჩერებულია უკრაინის პრეზიდენტის 1994 წლის 7 აპრილის № 141 ბრძანებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული უკრაინის მატერიალური რესურსების სახელმწიფო სასაქონლო ობლიგაციების გამოშვება და გავრცელება.

უკრაინის საკრედიტო ფონდის სალიკვიდაციო კომისია გაცნობებთ, რომ დოკუმენტები უკრაინის საკრედიტო ფონდის აქტივებისა და საქმიანობისადმი პოტენციური პრეტენზიების შესახებ სალიკვიდაციო კომისიამ განსახილველად უნდა მიიღოს 1995 წლის 10 თებერვლამდე. მთელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს უკრაინის ფინანსთა სამინისტროში მისამართით: უკრაინა, კიევი, გრუშევსკის ქ. № 12/2.

გულწრფელი მადლობით

ა. კასიანენკო,

უკრაინის ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში.

ტექნიკუმი 70 წლისაა

სენაკის აგრარულ-ეკონომიკურ კოლეჯში ამას წინათ თავი მოიყარა მრავალრიცხოვანმა სტუმარმა — სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა, პედაგოგებმა, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. აქ გაიმართა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სასწავლებლის — სენაკის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კრება. მოხსენებით გამოვიდა სენაკის აგრარულ-ეკონომიკური კოლეჯის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი გია ხარგელია, მან აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით 1924 წლის სექტემბერში გაიხსნა სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელიც 70 წლის ასაკში აგრარულ-ეკონომიკურ კოლეჯად იქცა.

ტექნიკუმის 8 ათასზე მეტ კურსდამთავრებულთაგან 7 მეცნიერებათა დოქტორია, 11—მეცნიერებათა კანდიდატი.

შეკრების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ტექნიკუმის პირველი დირექტორის გიორგი ქანთარიას, პარმენ ლეჟავას, დომენტი კვაშილავას, შალვა ელიავას, ნიკოლოზ ბოკუჩავას, ვლადიმერ გეგეჭკორის, ალექსანდრე სარჩიმელიას, გრიგოლ ხუროძის, ელთერ ლომაიას და სხვათა ხსოვნას.

სხვადასხვა დროს ტექნიკუმის დირექტორებად მუშაობდნენ ლეონიდე შაფათავა, მამანტი ქვარცხავა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი მარლენ ტაბალუა და აწ განსვენებული ელენე ადამია, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ტექნიკუმის სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. უშუალოდ მათი ხელმძღვანელობით აშენდა ორი სასწავლო კორპუსი, მასწავლებელთა და მოსწავლეთა საცხოვრებელი სახლები, სასადილო, სასწავლო სახელოსნო, მესაქონლეობის ფერმები, სტადიონი, სპორტდარბაზი, კულტურის სახლი და სხვა მრავალი ნაგებობა.

დამსწრეთ გულთბილად მიესალმნენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს განყოფილების გამგე მალხაზ შელია, სენაკის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე რევაზ ჯანჯღავა, ტექნიკუმის დირექტორი, რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე მამანტი ქვარცხავა, დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგრონომიულ-ეკოლოგიური კოლეჯის დირექტორი ნუგზარ მიქაძე, ტექნიკუმის ყოფილი მასწავლებელი შალვ ხუსკივაძე, კოლეჯის სასწავლო ნაწილის გამგე ვახტანგ იჯბაია და სხვები.

დასასრულ, ადგილობრივი ძალებით გაიმართა კონცერტი.

იოსებ გოგეჩია.

ყველას თავისი აზრი აქვს

მიწას სახელმწიფო უნდა ფლობდეს

ანუ კიდევ ერთხელ „პრივატიზაციის" ავსა და კარგზე

დღევანდელ წერილში საგანგებოდ არ მინდა ვილაპარაკო საქართველოში ქარხნებისა და საწარმო-დაწესებულებების პრივატიზაციაზე — ეს განსაკუთრებული მსჯელობის საგანია. იმასაც ვიტყვი, რომ არც ამ ობიექტების პრივატიზაციაა სასარგებლო, განსაკუთრებით მსხვილი საწარმო ობიექტებისა და მას დროზე უნდა შევეშვათ. მიწის ჩვენებურ, [illegible] პრივატიზაციაზე, უფრო სწორად, საქართველოსთვის მის მავნეობა-დამღუპველობაზე კი საგანგებოდ უნდა შევჩერდე.

საყოველთაოდ არის ცნობილი, თუ რაოდენ რთული, შრომატევადი და უაღრესად აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა არა მარტო ხარისხიანად, არამედ აგროწესებისა და ვადების უზუსტესი დაცვით ჩატარება. უამისოდ არაფერი გამოვა!

ამასთან, სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სახის ტექნოლოგია ცალკეული პერიოდებისთვის ადამიანთა მეტად ორგანიზებულ და, რაც მთავარია, კოლექტიურ შრომას მოითხოვს, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ღია ცის ქვეშ მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების სწორი და უდანაკარგო შესრულება-მართვა. გლეხები სოფლად კოლექტიურ შრომას ოდითგანვე მიმართავდნენ. განა ამას არ ადასტურებს ჩვენში საკმაოდ გავრცელებული ე. წ. „ნადების" (დასავლეთ საქართველოში) და ქართლ-კახეთში კიდევ სწორედ ამის მსგავსი ე. წ. „ნაცვალგების" არსებობა? გამოდის, რომ სოფლად ადამიანთა კოლექტიური და არა ინდივიდუალური შრომა თითქოს ღმერთსაც კი დაუწესებია და ისმება კითხვა, ჩვენ რისთვის ვშლით ასე ხელაღებით სწორედ ადამიანთა კოლექტიური შრომით მომუშავე კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, როცა სხვა უკეთესი რამ ფორმა არ შეგვიქმნია?

პრივატიზაციის მოვლენას საჭიროა შევხედოთ სხვა მხრივაც, მისი მომხრეები პრივატიზაციას საერთოდ დაჭრილ-დაპატარავებული, სანაკვეთე მიწების კერძო და სამუდამო საკუთრებაში გადაცემით წარმოგვიდგენენ, როგორც იტყვიან, კეთილი და პატიოსანი — იყოს ასე. ახლა შევხედოთ ამ პროცესს ტექნიკის გამოყენების თვალსაზრისით. განა შეუძლია პრივატიზებული მიწების პატრონს შედარებით პატარა ფართობის დასამუშავებლად შეიძინოს ამისთვის საჭირო ყველა მანქანა-იარაღი? რა თქმა უნდა, არ შეუძლია და ვერც ვერასდროს შეიძენს. რომც შეიძინოს, საჭირო ტექნოლოგიური პროცესების შესრულება სათანადოდ ძვირი დაუჯდება, რასაც ვერ გაუძლებს. პროფესორ ნ. პეტროვის სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია, რომ იმ კერძო მეურნეობაში, რომელსაც 4 ჰექტარამდე მიწა აქვს და მისი საქცევის სიგანე 800 მეტრია, ყოველი ჰექტარის დამუშავებისთვის 19-ჯერ მეტი თანხის დახარჯვა ხდება საჭირო, ვიდრე კოლმეურნეობებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში.

საყურადღებოა იმავე პროფესორ ნ. პეტროვის გამოკვლევებით დადგენილი მეორე ფაქტიც: ფართობის საქცევის სიგრძისა და, საერთოდ, დასამუშავებელი მიწის სიდიდის ზრდის კვალობაზე ხარჯები კი არ იზრდება, არამედ შესამჩნევად მცირდება. მაშ რას ვერჩით მსხვილ მასივებს, რად ვაქუცმაცებთ მათ?

ყოველივე ამის მიუხედავად, ვთქვათ, ჩავატარეთ მიწის ტოტალური პრივატიზაცია, ყველა მიწის ფართობი გავანაწილეთ და გადავეცით მეპატრონეებს, როგორც ახლა ამბობენ, სამუდამო საკუთრებაში. მაშინ ეს ხომ იმასაც ნიშნავს, რომ მიწის მეპატრონეს უფლება აქვს თავისი საკუთარი მიწა ერთ დღეს გაყიდოს, ან გააჩუქოს? ამბობენ ყიდვა-გაყიდვას ავკრძალავთო. მაგრამ ეს ხომ, ერთი მხრივ, პრივატიზაცია აღარ იქნება და, მეორე მხრივ, რა უფლებით ვარღვევთ ჩვენს მიერ უკვე მიღებულ კანონს, რომელიც კანტის თქმით, ერთპიროვნული ადამიანების ნაცვლად სახელმწიფოს უნდა მართავდეს? მიწის ასეთი სახის პრივატიზაციაზე გლეხი ნამდვილად უარს იტყვის. გარდა ამისა, ვთქვათ, რომ ყველა მიწა გავანაწილეთ. ისმება კითხვა, რა ვქნათ მაშინ, როცა ერთი კომლი, რომელმაც მიწა მიიღო ნორმით, ათი წლის შემდეგ ისე გამრავლდა, რომ ეს მიწა მას აღარ ყოფნის? გვეუბნებიან, მას სარეზერვო ფონდიდან დავუმატებთო, მაშინ, ჯერ ერთი, როგორც გამოდის, მიწის ყველა ფართობი არ გაგვინაწილებია, და მეორეც, ვინ დაამუშავებს ამ სარეზერვო მიწას და ან რამდენ ხანს გვეყოფა ეს სარეზერვოდ დატოვებული ფართობი? ან კიდევ, მეორე მაგალითი: როგორც იტყვიან, ღმერთმა აშოროს, მაგრამ ვთქვათ, რომელიმე გლეხის 10-სულიანი ოჯახიდან, რომელმაც მიწა სულადობის მიხედვით მიიღო, ტრაგიკული შემთხვევის გამო 8 დაიღუპა. რა ვქნათ, რა კანონით უნდა შევუმციროთ მიწის ნაკვეთი დარჩენილ ორ სულს — ჩამოვაჭრათ, წავართვათ? ესეც ხომ სრული უკანონობა იქნება. ან, ვთქვათ, გლეხმა პრივატიზებული მიწა არ დაამუშავა, მოაცდინა და მოსავალი არ მიიღო. რა ვუყოთ მას, რით დავსაჯოთ. სამუდამო სარგებლობაში კი არა, საკუთრებაში გადაცემული მიწა ჩამოვართვათ? სადაა ასეთი კანონები?

მოკლედ, მრავალი ნიუანსია გასათვალისწინებელი, თანაც ძალზე საყურადღებო და ანგარიშგასაწევი, მაგრამ ახლა ამაზე არ შევჩერდები. ყურადღებას გავამახვილებ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე — ტექნიკაზე.

სოფელს ტექნიკური ბაზა ჯერ კიდევ ხრუშჩოვმა გამოაცალა ემტეესების გაუქმებით და ტექნიკის გაყიდვით. ხელმეორედ შექმნილი ტექნიკური ბაზა კი ჩვენთან გამეფებულმა ქაოსმა და გაუფრთხილებლობამ გაანადგურა. მთელი ტექნიკა დაიტაცეს და გაყიდეს. არადა, განა შეიძლება დღეს სოფლად დიდმწარმოებლური ტექნიკის გარეშე რაიმე პროდუქციის შექმნა? აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მცირე მექანიზაციის საშუალებებზე ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის ორიენტაცია აშკარად ძირშივე მცდარია, უღონო მოტობლოკებითა და მიწის დამმუშავებელი აკრძალული ფრეზებით პროდუქტის სიუხვეს ვერასდროს შევქმნით. სამწუხაროდ, ასეთი მცდარი პოლიტიკის შედეგია ალბათ, რომ მაღალეფექტიანი დიდმწარმოებლური ტექნიკის გამოშვებისთვის ზრუნვა საერთოდ შეწყდა, რის ძალიან ცუდ შედეგებსაც მალე ვიგრძნობთ. მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენება ფედერაციულ გერმანიაზე ადრე არავის უცდია, მაგრამ მალევე აიღო ხელი ამაზე, როგორც უპერსპექტივო საქმეზე. იგი ახლა, ისე როგორც ყველა ქვეყანა, კვლავ გადავიდა დიდმწარმოებლური ტექნიკის შექმნაზე. საინტერესოა, რატომ არ ითვალისწინებენ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელები ამ ჭკუის სასწავლებელ ფაქტს? ჩვენ, რა თქმა უნდა, გვჭირდება მცირე მექანიზაციის საშუალებებიც, მაგრამ არა ამჟამინდელი უღონო მოტობლოკები. ჩვენ გვინდა ჩვენი ბუნებრივი პირობების შესაბამისი ხანგამძლე, დიდმწარმოებლური და უნივერსალური ტექნიკა. საბედნიეროდ, საქართველოში უკვე შექმნილია და წარმატებითაც არის გამოცდილი რამდენიმე სახეობის დიდმწარმოებლური ტექნიკა. მათ შორის ქანობ ადგილებზე მავალი ტრაქტორებიც, რომელთაც ანალოგები არ გააჩნიათ მსოფლიოში, მაგრამ, სამწუხაროდ, წლების მანძილზე მათი გამომშვები არავინ ჩანს, განა მოსათმენია და დასაშვებია, რომ ქანობებზე მავალი პირველი ტრაქტორი „მტზ-82კ", რომელიც ქართველმა მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა შევქმენით, უკვე 20 წელი სრულდება, რაც ბულგარეთს გადასცა დასამზადებლად საკავშირო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და დღესაც არც ერთი ცალი არ გამოუშვიათ? ამ უკანასკნელ წლებში შევქმენით აგრეთვე ქანობზე საიმედოდ მავალი უნიკალური, უნივერსალური, მეტად ორიგინალური კონსტრუქციის ავტომატებით აღჭურვილი შასი, მაგრამ მის გამოსაცდელად მთელი 5-8 წლის განმავლობაში ერთი კილოგრამი საწვავ-საცხები მასალაც არ მიგვიღია (?!). წარმატებით შევქმენით და ასევე წარმატებით გამოვცადეთ ჭარბტენიანი მიწის დაშრობის სრულიად ახალი რეგულირებადი სისტემაც, რომლის საშუალებითაც ნიადაგს ჩვენთვის სასურველი ოდენობით ამოვაცლით ჭარბ ტენს, ნაწილს კი მიწაშივე დროებით შევინახავთ გვალვების დროს სარწყავად გამოსაყენებლად. სისტემის გამოცდის შედეგები დამაკმაყოფილებელია. მაგრამ რა — უფულობისა და უგულისყურობის გამო ამ და სხვა სახეობის პროგრესული ტექნიკის გამოშვების საქმეც ადგილიდან არ იძვრის. ნუთუ კიდევ დიდხანს გაგრძელდება ასეთი უყურადღებობა სოფლის პრობლემებისადმი?

ამ საკითხზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ არ ღირს, ისედაც ყველაფერი ნათელია — უტექნიკოდ სოფლად არაფერი გამოვა. მძლავრ ტექნიკას კი დაქუცმაცებულ, ე. წ. „პრივატიზებულ" მიწებზე ვერ გამოვიყენებთ. ამიტომ მიწა სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს.

შალვა კერესელიძე,

აკადემიკოსი.

ეროვნული

სათქმელი უნდა ითქვას

განგაში!

ანუ ფიქრები გაზეთ „ჰურიეთის“ ერთი პუბლიკაციის გამო თემაზე: „რა სჯობს—ძმობა თუ... „ტერორი?“

გასულ წლის 10 დეკემბერს, დილის 9 საათზე „საგანგაშო სიტუაცია“ შეიქმნა ბათუმის საბაჟოზე — თურქეთის მხრიდან სარფის გამშვებ პუნქტს მოადგა თითქმის ცოცხალმკვდარი, თავგაჩეხილი ახალგაზრდა კაცი — სამტრედიელი ალეკო მიქელთაძე.

— მართლაც ამაზრზენი სანახაობა იყო — იგონებენ საკონტროლო პუნქტის თანამშრომლები — წარმოიდგინეთ, რაღაც შავ-წითელი მასა, რომელსაც პირისახე საერთოდ არ უჩანს, თავიდან შადრევანივით მოსჩქეფს სისხლი და ისეა ქანცგამოცლილი, რომ საერთოდ არ აქვს გადაადგილების უნარი.

ფეხზე დამდგარა სარფის სასაზღვრო საკონტროლო პუნქტის ორივე — თურქული და ქართული მხარე, საბაჟოს სამედიცინო პუნქტის მთელი პერსონალი. ექიმებმა, რომ იტყვიან, სულზე მოუსწრეს ალეკოს, სისხლისდენა შეუჩერეს, მზრუნველობა არ მოაკლეს და უმოწყალოდ ნაცემ-ნაბეგვს და საქართველოსკენ შემოაბრუნეს.

როგორც შემდგომ გაირკვა, ალეკო მიქელთაძე თურქეთში სამუშაოდ გასული კაცია. იგი ფირმა „ართვინ-ექსპრესის“ რიზეს განყოფილებაში მუშაობს.

— რაღაც უცნაური რამ ხდება ამ ბოლო დროს — უამბობდა იგი საბაჟოს უფროს ინსპექტორს ჯემალ დუმბაძეს — თუ თვალში არ მოუხვედი ვინმეს, ერთბაშად 5-10 კაცი დაგესევა და უმოწყალოდ გცემს. ამჯერად ავტობუსების მძღოლების მსხვერპლი გავხდი. ყველას აბა რას გაიხსენებ... განსაკუთრებით დამამახსოვრდა ავტობუსის „მარათონის“ (მისი სახელმწიფო ნომერია 53АИ303) მძღოლი, მაღალი ტანის, დაახლოებით 45 წლის, (თეთრი თმით), რომელიც წაქცეულს უმოწყალოდ მირტყამდა ფეხს თავში, შემდეგ კი იარაღის ჩარტყმით ასეთი უმძიმესი ჭრილობა მომაყენა. საკვირველი და საოცარი ის არის, რომ ამ შეხლა-შემოხლას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ იქვე ახლოს მყოფი თურქი პოლიციელები; ერთი სიტყვით, სრული განუკითხაობაა, არც სტუმრის ფასი იცის იქ ვინმემ და არც მეზობლის.

— რა ხდება... ეს რაღაც ერთეული, გამორჩეული შემთხვევაა თუ?.. — ვეკითხები ბათუმის საბაჟოს უფროსს ლევან გვარიშვილს:

— რას ამბობთ, ნეტამც ასე იყოს... სამწუხაროდ, ისეთი ვითარებაა, რომ უკვე სპეციალური კარტოთეკაც კი შეიქმნა, სადაც თავს იყრის თურქეთიდან დაბრუნებული ჩვენი მოქალაქეების საპროტესტო წერილები, განცხადებები, საჩივრები... ასე რომ, შეგიძლიათ თავად ნახოთ თუნდაც უკანასკნელ ხანს შემოსული განცხადებები, რომლებიც ნათელს ფენენ იმ ალვირახსნილობას, რაც ხდება თურქეთის ტერიტორიაზე ჩასული საქართველოს მოქალაქეების მიმართ.

და აი, ვათვალიერებ ამ კარტოთეკის მასალებს. ზოგიერთს თქვენც გაგაცნობთ:

პაუზა — სარედაქციო ჩანართისათვის:

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თხოვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს, თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს საქართველოში, ბათუმის საკონსულოს, საქართველოს საელჩოს თურქეთის რესპუბლიკაში, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ აღნიშნული ფაქტები ცნობილი გახდეს თურქეთის სამთავრობო სტრუქტურებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

— 10 დეკემბერს, ღამის 11 საათზე, ქალაქ რიზესთან ჩაილის გასასვლელში საბურავს ვუცვლიდით ავტომანქანას, როცა გზად ჩამოვლილი თურქული წარმოების მანქანიდან გაგვიხსნეს ავტომატის ჯერი. მანქანა, როგორც ნახეთ, ტყვიით არის დაცხრილული. მე და ჩემი მძღოლი კი რაღაც სასწაულით გადავრჩით. ასე რომ, ჩვენთვის თურქეთში გასვლა უიარაღოდ ბრძოლის ველზე გასვლად იქცა — წერს საბაჟოს უფროსის სახელზე ბათუმელი გუგული სურმანიძე.

— 12 დეკემბერს, ღამის 11 საათზე, იქვე, რიზეში, პირადი მოწვევით მყოფი ქედელი ვაჟა თებიძეს, რომელიც მეგობრებთან — მურმან ბუნჯაძესთან და ვანო ცინცაძესთან ერთად ისვენებდა ავტობუსში, თავს დაესხა ხუთი შეიარაღებული თურქი მოქალაქე. მათ სასტიკად სცემეს ისინი, წაართვეს 500 დოლარი და ნაყიდი ნივთები.

— ყვირილი რომ არ დაგვეწყო და იქაური ჩვენებურები არ წამოგვშველებოდნენ — წერს ვაჟა თებიძე — შესაძლოა ყაჩაღებს დავეხოცეთ კიდეც.

— 13 დეკემბერს ტრაპიზონ-სამსუნის გზატკეცილზე მდებარე ბენზოგასამართ სადგურზე მანქანა გავაჩერე და ცოტა წავუძინე — წერს ახსნა-განმარტებით ბარათში ქ. თბილისში, ისნის ქ. № 2-ში მცხოვრები ზაზა ტაბატაძე, — დაახლოებით ღამის 11 საათსა და 30 წუთზე რამდენიმე თურქმა ახალგაზრდამ გადმომიყვანა მანქანიდან, რამდენჯერმე დამარტყეს თავის არეში, წამართვეს 1500 დოლარი, მანქანაში მყოფმა ჩემმა ახლობელმა მალხაზ ტაბატაძემ გადაწყვიტა მომშველებოდა და გაიწია მომხვდურებისაკენ. ამას მოჰყვა ავტომატის ჯერი. იგი ფეხში დაიჭრა. ერთი სიტყვით, სასწაულით გადავრჩით. ასეთ ორომტრიალში ვერ დავიმახსოვრე მომხდურთა ავტომანქანის ნომერი. მახსოვს მხოლოდ, პირველი ციფრი — 61 — აცხადებს მალხაზი.

— მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს, ქუთაისში, ბუხაიძის ქ. № 17 მცხოვრებ მაყვალა ჯინჯიხაძეს რიზეში, სასტუმრო „ტუმბოს“ წინ მდებარე ვალუტის გადასახურდავებელ პუნქტთან თურქმა ახალგაზრდამ გამოსტაცა ფული. შემდგომ იგი დააკავეს და სასამართლოს წარუდგინეს.

— მეგონა მეშველებოდა და მართლმსაჯულება დამეხმარებოდა ჩემი კუთვნილი თანხის დაბრუნებაში, მაგრამ... რაღაც მაქინაციებით სასამართლო უკვე სამჯერ გადაიდო. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვარ, მით უმეტეს ახლა, როცა თურქეთში გასვლა საკმაოდ გაძვირდა; თურქეთის სამართალდამცავი ორგანოები კი აბუჩად გვიგდებენ ქართველებს და არაფრად აგდებენ ჩვენს ინტერესებს. შევარცხვინე ასეთი მეზობლობა — წერს ქალბატონი მაყვალა და გვთხოვს ეს ფაქტი ვაცნობოთ თურქეთის ოფიციალურ წარმომადგენლებს საქართველოში.

რას არ ნახავთ, რას არ წაიკითხავთ სხვადასხვა ორგანოებში შემოსულ განცხადებებში. ჩვენი მოქალაქეები თბილისელი თამარ ტაბატაძე, რუსთაველები: სვეტლანა შაბანოვა, მადლენა მანუკიანი აღშფოთებით წერენ იმაზე, რომ თურქეთში უკვე შეიქმნა სპეციალური მაფიური ჯგუფები, რომლებიც ხელს ითბობენ საქართველოდან ჩასული ქალების მოტაცებით, დაშინებით, გაყიდვა-გაქირავებით, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან თურქი მძღოლები, რომლებიც შანტაჟის გზით სძალავენ მათ ფულს, შემდგომ კი, როგორც მონებს, ისე ჰყიდიან სხვა თანამოქალაქეებზე.

გავახსენებთ ყველას იმ ამაზრზენ ამბავს, ამ ზაფხულს ტელევიზიით რომ მოგვითხრო ქუთაისელმა გოგონამ, რომელიც ასევე მოტყუებით, შანტაჟით მოხვდა მონად და ხასად და რამდენიმე თვის შემდეგ ისევ ვილაც პატიოსანი თურქი მოქალაქის ხელშეწყობით ძლივს შეძლო თავი დაეღწია ამ „კატორღისათვის“. როგორც ვიცით, ამ საქმეში ჩართული იყო თურქეთის პოლიციაც... რა მოხდა მას შემდეგ, რა ბედი ეწიათ თანამედროვე [illegible] და მონათმფლობელებს, ამაზე ერთი სიტყვაც არ დაუძრავს თურქეთის პრესას, არც ჩვენთან აკრედიტებულ დიპლომატიურ თუ საინფორმაციო სამსახურებს.

— რა ხდება, ხალხო?! — რომ იტყვიან, ენა ვერ აღწერს იმ სისაძაგლეს, რასაც წერენ თავიანთ ახსნა-განმარტებებში ჩვენი მოქალაქეები და თურქი მოხელეებიდან ჯერაც არავინ დაინტერესებულა ამით.

— კი მაგრამ — ვეკითხები ბათუმის საბაჟოს უფროსს ლევან გვარიშვილს — აქამდე რატომ დუმდით, რატომ არაფერს ამბობდით ამის შესახებ?..

— მოგეხსენებათ, სახელმწიფოთაშორისი, მათ შორის, საზღვრისპირა ურთიერთობანი მეტად ფაქიზი საქმეა. არ გვინდოდა ასეთი ფართო, საჯარო სახე მიგვეცა ამ მოვლენებისათვის. გვეგონა ამ პრობლემებს ე. წ. შიდასამსახურებრივი არხებით მოვაგვარებდით. იყო პირობებიც, მაგრამ... როგორც ჩანს, აქ სხვა დონის ჩარევაა საჭირო. იმასაც გეტყვით: ბევრი შესანიშნავი თურქი მეგობარი, ახლობელი შეგვძინა სარფის კარის გახსნამ. ბევრი მათგანი გულწრფელი, გულღია და შესანიშნავი ადამიანია. უნდა ნახოთ როგორ აღშფოთებით ლაპარაკობენ ისინი იმ ალვირახსნილობაზე, რასაც ზოგიერთი მათი თანამოქალაქე სჩადის თურქეთში ქართველი მოქალაქეების მიმართ.

ავტორისეული ჩანართი:

ჩვენი მკითხველი ალბათ დამემოწმება, თუ ვიტყვი, რომ რამდენჯერმე მომიხდა გავყოლოდი გზას „სარფიდან ტრაპიზონამდე ხოფას გავლით“ და ამ ციკლის პუბლიკაციებში კრიტიკულად შემეხედა ზოგიერთი ჩვენი თანამემამულისათვის, მისი ქცევისა და ზნეობისათვის.

— მართლაც გულსაკლავი — ჩვენთვის ყველასათვის ამაზრზენი ვითარება ვნახე მაშინ და აგიწერეთ კიდეც. მაგრამ თურქეთში არ შემხვედრია სამარცხვინოდ ჩასული ქართველი; აქ იყო ძირითადად დამშეული, ლუკმა პურის საშოვნელად წამოსული, გაჭირვებაში ჩავარდნილი, დამცირებული ქართველობა, რომელიც კაპიკებად ყიდდა უთოს, რადიომიმღებს, მიტკალს და სხვა წვრილმანს.

აქაც იყო ბევრი რამ საჩოთირო — ჩვენთვის ეხოდენ დამახასიათებელი კინკლაობა, წვრილმანი ქურდობა ერთმანეთში, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენი უბედურებისა და გაჭირვების ფარგლებს არ სცილდებოდა. მერე გაჩნდნენ ე. წ. „პეპლები“ — მოხეტიალე ქალბატონებიც... . ერთი სიტყვით, ეს ჩვენთვის მეტად არასასიამოვნო და სამწუხარო პროცესი უყურადღებოდ არ დაგვრჩენია ჟურნალისტებს... სიმართლე გითხრათ, მაშინ ჩვენი სატირალი გვქონდა და აზრადაც არ გამივლია ყურადღება გამემახვილებინა მასპინძლების ქცევასა და დამოკიდებულებაზე... მით უმეტეს, როცა თვით ტრაპიზონის საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელი ბატონი თურანი ისეთი გულისტკივილით მესაუბრებოდა ამ პრობლემებზე და პოლიციის მცდელობაზე დაეცვათ გაჭირვებაში ჩავარდნილი ჩვენი თანამემამულეები სხვადასხვა გართულებებისაგან, რომ... ცხადია, როცა გაღმა ედავები, გამოღმით — შენს „ბოსტანშიაც“ უნდა ჩაიხედო და ნახო, თუ როგორ იქცევიან ჩვენთან შემოსული თურქეთის მოქალაქეები. ეტყობა ამით ჯერ არავინ დაინტერესებულა თურქეთში. როგორც დარწმუნდებით, აქაც სცოდავს ბევრი მათგანი. აი მაგალითად: მიმდინარე წლის 14 დეკემბერს საბაჟო შემოწმების დროს თურქეთის ფირმა „რიტურის“ მძღოლს აბდულამ კუველს, რომელიც ასრულებდა რეისს თბილისი-ბათუმი-რიზე, აღმოაჩნდა მანქანაში გადამალული „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტი 11 ვაზნით. ახლა იგი იმყოფება აჭარის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საგამოძიებო განყოფილებაში. აქვეა ხოფელ მიშლიკის მცხოვრები სრულიად ახალგაზრდა ნეილა ბრინჯი, რომელმაც სცადა სახელმწიფო საზღვარი გადმოელახა ყალბი პასპორტით.

აჭარის უშიშროების სამსახურის ცნობით საქართველოს ტერიტორიაზე იარაღის არაკანონიერი ტარებისათვის სხვადასხვა დროს დაკავებული იყვნენ თურქეთის მოქალაქეები: ხოფადან — პოიზარ ოკანი, ილიკ დუატი, არდაშენიდან — ქარალ ონჩარაკი, ტრაპიზონიდან — კესკალ ჩაგლოიანი, რომლებსაც არაკანონიერად გადაჰყავდა სახელმწიფო საზღვარზე ორი პიროვნება, მისი თანაქალაქელი ოსმან დუმუშ ოგლუ კი ცდილობდა კონტრაბანდის წესით საქართველოდან გაეტანა თურქეთში 3.418 ცალი ხაჯიხარი და 1510 კილოგრამი სპილენძის ნაწარმი.

ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ყველგან, მათ შორის, ჩვენთანაც კანონის უხეშ დარღვევად ითვლება... რა ბედი ეწიათ კანონის დამრღვევთ? ცხადია, დავინტერესდი და პასუხისათვის აჭარის სახელმწიფო უშიშროების საგამოძიებო განყოფილების უფროსს პოლკოვნიკ ვიქტორ სტუპინს მივაკითხე.

— 1991 წლიდან — მითხრა ბატონმა ვიქტორმა — კონტრაბანდისტობისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოლახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მივეცით 11 თურქი მოქალაქე. შემდგომ კი მოხდა ისე, რომ აჭარის უზენაესმა სასამართლომ გამოუტანა მათ ე. წ. პირობითი სასჯელები ან ჯარიმის გადახდა დააკისრა.

— როგორ — ვეკითხები ბატონ ვიქტორს — ასეთი დანაშაულისათვის ჩვენი კანონმდებლობა ხომ 8-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს?

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენ ვხელმძღვანელობდით ჰუმანური, კეთილმეზობლური, მეგობრული პრინციპებით, რადგან ახლა ვაგებთ ჩვენს ქვეყნებს შორის ახალ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს. არ დაგიმალავთ, ასეთი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიცია... თუმცა სრულიად საწინააღმდეგოდ იქცეოდა თურქეთის მართლმსაჯულება [illegible], მათ იგივე დანაშაულისათვის ქართველ მოქალაქეებს, რომლებმაც 10 ან 20 ვაზნა გაიტანეს თურქეთში, 5 და მეტი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

— რაც მოგივა დავითაო... სწორედ ჩვენზეა ნათქვამი. ამ წერილზე რომ ვმუშაობდი, ჩემმა მეგობრებმა ანკარიდან ხელს გამოყოლილი გაზეთ „ჰურიეთ-2“ ა. წლის 10 ნოემბრის ნომერი გადმომცეს, რომელშიც გამოქვეყნებულია სტატია ასეთი სენსაციური სათაურით: — „ტერორი სარფის გამშვებ პუნქტზე“... იგი თურქ ბიზნესმენს, ვინმე ხულუსი შელიქს მიუწვდენია რედაქციისათვის. მოკლედ რაშია საქმე: თურმე მათ (ალბათ ბიზნესმენებს) შეუდგენიათ 11 პუნქტისაგან შემდგარი არზა, რომელიც უნდა გაუგზავნონ (ჯერ არ გაუგზავნიათ!) თურქეთისა და საქართველოს, მათ შორის, აჭარის რეგიონის ხელმძღვანელებს იმის გამო, რომ თურმე საქართველოს ტერიტორიაზე აკავებენ, შეურაცხყოფენ თურქ ქალიშვილებსა და ქალებს, ავტომატით შეიარაღებული ადამიანები აშინებენ და ფულს სძალავენ თურქეთის მოქალაქეებს, პოლიციაზაეს გადაუხდელობის გამო მართვის მოწმობებს ართმევს თურქ მძღოლებს. ყოფილა შემთხვევა, როცა თითოეული ავტობუსიდან ქართველ პოლიციელებს მოუთხოვიათ 5 დოლარი და... კიდევ ჩივიან იმაზე, რომ თურმე თურქეთის ბათუმის საკონსულო საერთოდ არ არის დაინტერესებული აქ შემოსული თურქი მოქალაქეების პრობლემებით. ეს არის და ეს — არცერთი კონკრეტული ფაქტი, არც ერთი გვარი ან სახელი, დრო, თარიღი, ადგილი და სხვა. ყველაფერი ზოგადი, არაფრის მთქმელი. სათაური კი ისეთი აქვს, რომ იტყვიან, მკვდარს გააცოცხლებს.

მოდი და, ნუ იტყვი ჩვენს კოლეგებს „ჰურიეთიდან“: — თქვე კაი ხალხო, ქურდსა და ბანდიტს, გამომძალველ პოლიციელსა თუ მებაჟეს რა გამოლევს საქართველოშიც, თურქეთშიც და სხვაგანაც. ამ თემაზე ფილმებს იღებენ, განსაკუთრებით თურქეთში. განა რა გაუჭირდათ ჩვენს თურქ კოლეგებს ისეთი, რომ თავიანთი ტრაპიზონელი თუ ხოფელი კორესპონდენტის თვალით მაინც ენახათ ის „ტერორი“, რომელიც მათი თქმით, ასე მძვინვარებს თურქი მოქალაქეების მიმართ სარფსა თუ ბათუმში. მაგრამ მაშინ ხომ იძულებული იქნებოდნენ იმ მასალებსაც გაცნობოდნენ, რომელთა შესახებაც ჩვენი წერილის დასაწყისში მოგახსენეთ. რაც შეეხება თურქეთის ბათუმის საკონსულოს, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მას მხოლოდ ერთხელ მიმართეს თურქმა მოქალაქეებმა, რის შემდგომაც აჭარის სამართალდამცავმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ გაატარეს უმკაცრესი ზომები.

სწორედ ამაზე იტყვიან ჩვენში — „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო“. მე კი ვიტყოდი: „ცალ კარში თამაში“ არ დაშვენდება ჩვენი ქვეყნების კეთილ მეზობლობასა და ურთიერთობას, მით უმეტეს ახლა, როცა ბევრი სასიკეთო რამ ხდება საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში.

ისე კი, განვლილმა წლებმა ნათლად გვიჩვენა, რომ როგორც თურქეთი, განსაკუთრებით კი საქართველო (თავისი ცნობილი პრობლემებით) სათანადოდ ვერ მოემზადნენ მგზავრებისა თუ ტრანსპორტის ასეთი ასტრონომიულად გაზრდილი ნაკადების ჯეროვნად მისაღებად. თუ ადრე საქართველოში თურქეთიდან შემოსული თითო-ოროლა სტუმარს მასპინძლების მთელი ამალა დახვდებოდა, დღეს ეს შეუძლებელი გახდა. ასევეა ალბათ თურქეთშიც, თუმცა მას ამ ეტაპზე ამ პრობლემის მოგვარების ჩვენზე უკეთესი საშუალებები გააჩნია.

წარმოიდგინეთ ჯერ კიდევ რამდენი თანმდევი პრობლემის გადაწყვეტაა საჭირო იმისათვის, რომ ყველას — ტურისტებს, დიპლომატებს, ბიზნესმენებს, მძღოლებს, კერძო ვიზით შემოსულ მოქალაქეებს, ამასთან ყველა ჯურის ბედის მაძიებლებს, შეექმნას პირობები ნორმალური მგზავრობის, ცხოვრებისა და საქმიანობისათვის. აქ მთელი ინფრასტრუქტურის შექმნაა საჭირო ორივე მხარეს, განსაკუთრებით საქართველოში. ამ მხრივ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება საბაჟოებს. ჩვენ, ჟურნალისტები, ხშირად ვწერთ ამ უბანზე არსებულ დარღვევაზე, დანაშაულზე. საბაჟოზე მიმდინარე პროცესები საქართველოს, კერძოდ, აჭარის ხელმძღვანელობის, ყოველდღიური კონტროლის საგანია. ბევრი რამ გაკეთდა კიდეც. სხვადასხვა დარღვევებისათვის უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საბაჟოდან დაითხოვეს და ადმინისტრაციული სასჯელი დაადეს 850-ზე მეტ მუშაკს, ვფიქრობ, ეს ციფრი თავისთავად მრავლისმეტყველია.

ის, რასაც ჩვენს საბაჟოს უკიჟინებენ, მოგონებაა იმასთან, რასაც აკეთებენ თურქი მებაჟეები. ამ ზაფხულს, ივლისში, მე თავად ვაცილებდი საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის ჯგუფს თურქეთში და საკუთარი თვალით ვნახე, თუ როგორ მოითხოვეს თურქმა მებაჟეებმა შვიდასი დოლარი იმისათვის, რომ ნება დაერთოთ ჩვენი ჟურნალისტებისათვის გაეტანათ თურქი კოლეგებისათვის საჩუქრად განკუთვნილი ქართული კერამიკის ნიმუშები. რაც შეეხება დანარჩენს, ამაზე სხვა დროს მოგახსენებთ.

ვფიქრობ, სურათი ნათლად გამოიკვეთა. გამოჩნდა ის დამოკიდებულებაც, რომელსაც საქართველოს, კერძოდ, აჭარის ხელისუფლება იჩენს ამ მოვლენებისადმი. ამ ჰუმანიზმს, შემწყნარებლობასა და ადამიანურობას საფუძვლად უდევს კეთილმეზობლური დამოკიდებულება თურქეთის რესპუბლიკისადმი, მისი მოქალაქეებისადმი.

კეთილმეზობლობა და ძმობა კი ორივე მხარის კეთილ ნებას, ურთიერთგაფრთხილებასა და, რაც მთავარია, საზოგადოებისათვის მართალი, ობიექტური ინფორმაციის მიწოდებასაც გულისხმობს.

ეგებ იმ „ტერორის“ ნაცვლად, რომელსაც თურმე თურქ მოქალაქეებს უწყობენ სარფში, ორივე მხარემ, მათ შორის ჟურნალისტებმაც, ერთად მოვკიდოთ ხელი ამ პრობლემებს და ურთიერთნდობითა და თანამშრომლობით რეალობად ვაქციოთ თურქეთის პრეზიდენტის — ბატონ დემირელის მოწოდება:

— ჩვენ მარტო მეზობლები კი არა, — ძმებიც უნდა ვიყოთო! ისე კი, ძმობა მართლა სჯობია „ტერორსა“ და დეზინფორმაციას.

გია ჟელიძე,
„სრ“ აჭარის ბიურო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გროზნოს სრული ბლოკადა

საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ფედერალური ჯარები ბოლო დღე-ღამის განმავლობაში განაგრძობდნენ ინტენსიურ საარტილერიო დარტყმებს გროზნოს ცენტრში. გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ მხოლოდ დუდაევის მომხრე მუსლიმანი ფანატიკოსები და დაქირავებულები, ნაციონალისტები, ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, რომლებიც პრეზიდენტის სასახლეს იცავენ. სასახლე პრაქტიკულად დანგრეულია. რუსეთის ჯარებმა გადაჭრეს უკანასკნელი არტერია, რომელიც ქალაქს ქვეყნის სამხრეთ რაიონებს უკავშირებდა, საიდანაც საბრძოლო ოპერაციების საწარმოებლად საჭირო რესურსებს იღებდნენ. იმასაც აღნიშნავენ, რომ გროზნოში (გათავისუფლებულ რაიონებში) უკვე შედიან ახალი დროებითი გამგებლობის სამსახურები, რომ გროზნოს დაკავებამდე საათებიღა რჩება. რომ ჯოხარ დუდაევმა განაცხადა — გროზნოს დაცემით ომი არ დამთავრდება, ის ავღანეთის ომზე უფრო ხანგრძლივი იქნება, ვინაიდან მუსლიმანური ქვეყნებიდან სულ უფრო დიდ დახმარებას ვიღებთო. მან ისიც თქვა, რომ აქვს მოსკოვის საჰაერო დაბომბვის საშუალებები.

ადამიანის უფლებათა დაცვის რწმუნებულმა სერგეი კოვალიოვმა განაცხადა, გროზნოს დაცემა ომის მხოლოდ დაწყების მაუწყებელი იქნებაო. რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ — სახელმწიფო სათათბირომ პრეზიდენტ ელცინს მოუწოდა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სამხედრო მოქმედება და დაიწყოს მოლაპარაკება მშვიდობის აღსადგენად.

„ოსტანკინოს“ ტელევიზიით გამოსვლისას რუსეთის მთავრობის მეთაურმა ვიქტორ ჩერნომირდინმა, პრეზიდენტ ბორის ელცინის დავალებით, შესთავაზა ჩეჩნეთის მხარეს დაიწყოს მოლაპარაკება ჩეჩნეთში ყველა დაინტერესებულ მხარეებთან, რომ მოლაპარაკების დაწყება ერთდროულად ცეცხლის შეწყვეტაც იქნებოდა. როგორც იცით, პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინს პრეზიდენტმა დაავალა ეხელმძღვანელა მოლაპარაკების ყველა პროცესისათვის. პრემიერ-მინისტრი უკვე შეხვდა მოსკოვში ჩეჩნეთის დიასპორის წარმომადგენლებს სხვადასხვა კონფესიების, მათ შორის მუსლიმანური სამღვდელოების წარმომადგენლებს. თავის ტელეგამოსვლაში ჩერნომირდინმა თქვა, რომ მოლაპარაკების უპირველესი საკითხები იქნება მორატორიუმი ჯარებისა და ტექნიკის გადაადგილებაზე, მძიმე შეიარაღების გამოყენების შეწყვეტა, ძალის გამოუყენებლობის ზონების შექმნა, მშვიდობიანი მოსახლეობისათვის სურსათისა და მედიკამენტების მიწოდება. ჩერნომირდინმა თქვა, რომ დაწყებული კონსულტაციები ჩეჩნეთში გარდამავალი პერიოდისათვის (ვიდრე თავისუფალი არჩევნები ჩატარდებოდეს) ქმედითუნარიანი ხელისუფლების ფორმირებაზე, მან თქვა, რომ, ფაქტობრივად, ჩეჩნეთში, რომელსაც ეს ტრაგიკული მოვლენები მოახვიეს თავს, რუსეთის დემოკრატიის ბედით წყდება. რომ ჯერ არ არის ანალიზის დრო, თუ რატომ და რა ფორმით დაიწყო კონფლიქტი, ეს შემდეგ გაირკვევა, ჩეჩენ ხალხს ეს ტრაგედია თავზე მოახვიეს. მთავარია სისხლის ღვრის შეწყვეტა, ამის შემდეგ შეიძლება უკვე რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩეჩნეთის სტატუსის საკითხის განხილვის დაწყებაო.

ჯოხარ დუდაევის წარმომადგენლები — ეკონომიკის მინისტრი და გენერალური პროკურორი მოსკოვს გაემგზავრნენ მოლაპარაკებების დასაწყებად.

სახელმწიფოს დეპარტამენტი უარყოფს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა უარყო გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობა, რომ სახელმწიფო მდივანმა თავის უახლოეს თანაშემწეებს უთხრა, უახლოეს ხანებში გადავდგებიო.

„ბოსტონ გლობი“ სახელმწიფო მდივნის შესაძლო გადადგომას დაუსახელებელი ოფიციალური პირები უკავშირებენ სახელმწიფო დეპარტამენტის რადიკალურ რეორგანიზაციას, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შეიყვანონ საერთაშორისო განვითარების სააგენტო და შეიარაღებისა და განიარაღების კონტროლის სააგენტო.

პრეზიდენტის უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის უმრავლესობის ლიდერმა რობერტ დოულმა 104 მოწვევის კონგრესის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიიჩნია კანონპროექტის მიღება, რომელიც შეზღუდავდა პრეზიდენტის შესაძლებლობას ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების გამოყოფის შესახებ უცხოეთის სახელმწიფოთა სარდლობის გამგებლობაში.

კანონპროექტში, რომელსაც დოული სთავაზობს კონგრესს, პრეზიდენტს მოუწოდებს კონსულტაციები გამართოს კონგრესთან, „ყოველ ამგვარ შემთხვევაში... ვიდრე გაგზავნიდეს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებს საომარი მოქმედების ზონებში“. ნებისმიერი სპეციალური მორიგება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ პრეზიდენტსა და გაეროს უშიშროების საბჭოს შორის, „მოითხოვს კონგრესის თანხმობას ან სპეციალური საკანონმდებლო აქტით, ან ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებით“.

კანონპროექტი, რომელსაც ეწოდება „1995 წლის კანონი სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ შეიცავს დებულებებს იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების არც ერთი ქვედანაყოფი, რომელიც მონაწილეობს გაეროს რომელიმე სამშვიდობო ოპერაციაში, არ შეიძლება პრეზიდენტმა გადასცეს რომელიმე უცხოეთის სახელმწიფოს სარდლობის ან რომელიმე წარმომადგენლის ოპერატიულ გამგებლობაში“, ვიდრე კონგრესი არ მიიღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე ან სათანადო გადაწყვეტილებას ერთობლივად არ შეიმუშავებენ პრეზიდენტი და კონგრესი.

დოულის კანონპროექტის შესაბამისად, პრეზიდენტმა ანგარიში უნდა ჩააბაროს კონგრესს ფულად ხარჯებზე, რომელიც უშუალოდ ან ირიბად იხარჯება გაეროს სამშვიდობო ოპერაციების მხარდაჭერისათვის და განსაზღვროს „ამერიკის შეერთებული შტატების საფინანსო წყაროების ოდენობა ასეთი ოპერაციების განსახორციელებლად“.

კანონპროექტს მხარს უჭერს რამდენიმე სენატორი-რესპუბლიკელი, რომლებსაც წამყვანი თანამდებობები უკავიათ; საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ჯესი ჰელმსი, შეიარაღებული ძალების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე სტრომ ტერმონდი და შეიარაღებული ძალების კომიტეტის ოთხი მაღალი რანგის წევრი-სენატორი ჯონ უორნერი, უილიამ კოენი, ჯონ მაკეინი და ტრენტ ლოტი.

უპრეცედენტო წირვა

ფილიპინების დედაქალაქ მანილასთან, პარკში, პაპის იოანე პავლე მეორის წირვაზე, ოთხი მილიონი ფილიპინელი შეიკრიბა. გზების გადატვირთვის გამო პაპი პარკში შვეულმფრენით მიიყვანეს.

რომის პაპმა, რომელიც აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მოგზაურობს, შაბათს ფილიპინების დედაქალაქის ჩინელი კათოლიკებისადმი მიმართვაში აღნიშნა, რომ ის, ვინც არ სცნობს რომის პაპის ირგვლივ ერთიანობას, თავს კათოლიკედ არ უნდა თვლიდეს. ჩინეთში ფაქტობრივად ორი მოქიშპე კათოლიკური ეკლესია ფუნქციონირებს. მთავრობის მიერ 1950 წელს შექმნილ პატრიოტ კათოლიკეთა ასოციაციის წევრებს ეკრძალებათ რომის პაპის უზენაესობის ცნობა. დანარჩენი რამდენიმე მილიონი ჩინელი სცნობს რომის პაპის უზენაესობას. პაპმა ორივე ეკლესიას ვატიკანთან ერთიანობის პრინციპებით გაერთიანებისაკენ მოუწოდა.

ირაკლი ჯაფარიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ადამიანები ჩვენს ირგვლივ

არა საკუთარი თავისათვის

გიორგი ლომიძე — მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი. იბრძოდა კავკასიის დაცვისათვის, მცირე მიწაზე, ნოვოროსიისკის, ანაპის, ტამანის, სიმფეროპოლისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის (ნუ დაგვივიწყებთ, რომ მაშინ იმ ომს სამამულო ომი ერქვა). მის მკერდს ამშვენებს დიდების III ხარისხის, საპატიო ნიშნის ორდენები და მრავალი საბრძოლო მედალი. დემობილიზაციის შემდეგ 1945 წლიდან გ. ლომიძე მუშაობას განაგრძობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატში, სადაც იგი 1988 წლიდან მუშაობდა. მისი ხანგრძლივი კეთილსინდისიერი მუშაობა აღნიშნული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მადლობითა და პრემიით. დღესაც ჩვეული კეთილსინდისიერებით იღწვის მინდობილ უბანზე. მუშაობს საქართველოს პარლამენტში სპეციალისტ-ტექნიკოსად... უკვე 80 წელიწადია.

გიორგი ლომიძე 88 წლისაა.

„იქნებ გამოგადგეთ...“

„ბატონო მინისტრო, დღეს საქართველოში ომია. რა გამაჩერებს შინ, როცა ჩემს სამშობლოს ასე უჭირს. ვარ ომგადახდილი, მაქვს საკმაო საბრძოლო გამოცდილება. ჩემი ასაკის მიუხედავად, იქნებ სადმე გამოგადგეთ, ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად“. — ასეთი შინაარსის ბარათი შარშან ორჯერ დაწერა გიორგი ლომიძემ თავდაცვის მინისტრის სახელზე. მისი თხოვნა ყურად არავის იღო. ალბათ, ძნელი დასაჯერებელი იყო ხანდაზმული კაცისათვის ერთი შეხედვით შეუფერებელი გულადობა.

ადამიანს საზოგადოებრივი ვითარება ქმნის. მაგრამ ადამიანიც ქმნის თავის საზოგადოებრივ ვითარებას. უფრო ზუსტად, ადამიანები ქმნიან იმ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობენ და თვითვე ისახავენ იმ მიზანს, რომლისთვისაც ცხოვრობენ. ამ ცნობილ ჭეშმარიტებას სიყრმიდანვე იზიარებს. მაგრამ დღეს? დღეს რა დაემართათ ადამიანებს, რა დაემართა საზოგადოებას?

კითხვა: — იქნებ შეირყა ერის ფსიქოლოგია და ესაა მხოლოდ და მხოლოდ ყველაფრის საწყისი?

მისი პასუხი: — დიახ, დღეს ერის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ვინაიდან დაიკარგა შრომა და მორალი, ჩვენმა ერმა დაკარგა თავისი ვრცელი პოტენციალი შრომისა, გარჯისა და ოფლისა, უღალატა მის პრინციპებს, დაადგა შემთხვევითი აქტივობის გზას, შანსის გზას.

— რაში ხედავს გამოსავალს?

მისი პასუხი: — გამოსავალი გამოსავლის ერთად ძიებაშია.

პროზაული მოგონება

— იყო დრო, გუდის ყველი კილო 60 კაპიკი ღირდა, კვერცხი ერთი კაპიკი...

რომანტიკული მოგონება

— ძველი თბილისი თავისი განუყრელი პერსონაჟებით, სხვადასხვა რჯულისა და ეროვნების მოსახლეობით, ადათითა და წესჩვევით... ძველი თბილისის ქუჩაბანდები — ლოყებდაბერილი მედუდუკეები, არღანზე მოქეიფე მოქალაქენი, ლაჩრი... ძველი თბილისი — ღია ცის ქვეშ მოქცეულ დიდ თეატრს რომ მოგაგონებდათ...

ერთი ჩუმი ნატვრა:

— ცა და მიწა მარადია იმიტომ, რომ მათ არაფერი უნდათ საკუთარი თავისათვის!

დასკვნის მაგიერ

ცხოვრობს თბილისში ერთი ჩვეულებრივი კაცი — გიორგი ლომიძე. თუმცა, რაღა ჩვეულებრივი — კაცი ამაგდარი, ღვაწლმოსილი, დაფასებული. მის მიერ განვლილ და გასავლელ გზას ნათელ ზოლად რომ გასდევს ყველაზე არსებითი, ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასი, უმთავრესი საგზალი ცხოვრებისა — დიდი ნდობა, წრფელი მეგობრობა და სიყვარული!

მზია გელენავა.

რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს...

ახალგაზრდებს ერის გამრავლების ხალისი დაეკარგათ, ხანდაზმულებს ავადმყოფობის შიში გაუმძაფრდათ, მოხუცებულებმა სიკვდილზე ფიქრიც კი მიატოვეს. მწარე სინამდვილეა — საბაზრო ეკონომიკამ ჯიბეცარიელ მოსახლეობას მძიმე განცდათა ქარიშხალი ძირითადად „მედიცინის სფეროში“ დაატეხა.

მართალია, საქართველოში სიცოცხლის „ასაფრენი“ ობიექტები ძველი დატვირთვით აღარ მუშაობენ, მაგრამ სიცოცხლე მაინც შლის ფრთებს, მაინც ნავარდობს.

ქ. ჩიჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჭერქვეშ არ შეწყვეტილა ახალშობილთა ტირილი, არ განელებულა ახალი ადამიანის დაბადებით გამოწვეული სიხარული, არ შემცირებულა შენობის კართან ბედნიერი მამებისა და ბებია-პაპების რიცხვი.

ახალგაზრდა დედებს შორის განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს პირველი სამეანო განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ გოცაძე.

ოჯახურმა ტრადიციამ განსაზღვრა მისი არჩევანი. მამა — გიორგი გოცაძე, ცნობილი ქირურგი გახლდათ (მის პროფესიას დაეუფლა უმცროსი ვაჟი ერეკლე) დედა — მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ლუბა გეგია, 85 წლის ასაკშიც ვერ შელევია შრომას და იმავე ინსტიტუტში შესაშური ენერგიით იღვწის.

გოცაძეების ოჯახში იმდენი „ხარისხიანი“ ექიმია (მეუღლე ნათელა ქაჯაია — პედიატრია, დედის კვალს გაჰყვა თამარი, მამისას — გიორგი), რომ ოჯახის თავკაცი ჩამოთვლას ვერ აუდის. ბატონ გურამს ყველაზე რთულ, პასუხსაგებ და საპატიოდ მაინც მეან-გინეკოლოგის პროფესია მიაჩნია.

მარტო თავისი პროფესია კი არა, კოლეგების პროფესიონალიზმი და გულისხმიერება ეამაყება, 20-30-35 წლის წინათ „დაფრთიანებულთა“ მეორე თაობა ეამაყება, თავს იწონებს განყოფილებაში სანიმუშო წესრიგითა და პირობებითაც. ჯანსაღი დედებითა და ახალშობილებითაც.

მძიმე დროა, მაგრამ სიცოცხლე მაინც შლის ფრთებს. გურამ გოცაძე იმ კაცთაგანია, რომელიც ხელს უწყობს მას, ფრთებს უმაგრებს და სიცოცხლეც ნავარდობს...

ლეილა ჭედია.

სარედაქციო ფოსტიდან

სიკეთით გამთბარი გულები

ჯერ კიდევ ცოცხალი ბევრი ვეტერანი ვერ იხსენებს ისეთ სითბოსა და გულითადობას, როგორიც სუფევდა სახელმწიფო უშიშროების ყოფილ თანამშრომელთა შეკრებაზე, რომელიც გაიმართა ახალი წლის წინა დღეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დღევანდელი ხელმძღვანელობის ინიციატივით.

ჩვენი გულებისათვის განსაკუთრებით საამო იყო ის გულწრფელობა და მადლიერება, რაც შეიგრძნო თითოეულმა ჩვენგანმა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელთან — იგორ გიორგაძესთან საუბრის დროს, როცა მან შეფასება მისცა ვეტერანთა შრომას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ამ შეხვედრის შემდეგ გარკვეული დრო გავიდა და ჩვენი გულები დღესაც გამთბარია ამ ღირსახსოვარი მოვლენით, ჩვენ სიცოცხლეს თითქოს წლები შეემატა.

ვეტერანები, დიდი სამამულო ომის მონაწილენი მთელი გულით მადლობას უძღვნიან ჩვენს ახალგაზრდა კოლეგებს გამოჩენილი ყურადღებისათვის და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დღევანდელ კოლექტივს გულწრფელად უსურვებენ წარმატებებს მათს ძალზე მძიმე საქმიანობაში.

ჩვენი მხრივ, ყურადღებითა და პატივისცემით გამთბარი ვეტერანები ყოველთვის მზად ვართ დახმარების ხელი გავუწოდოთ მათ, გავუზიაროთ ჩვენი ცოდნა, გამოცდილება, ხელი შევუწყოთ მემკვიდრეთა მოღვაწეობას საყვარელი და დამოუკიდებელი რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

უშიშროების სამსახურის ვეტერანთა კოლექტივი.

გვჭირდება ერთიანი სახელმწიფო პროგრამა

საბჭოთა იმპერია დაიშალა, სახელმწიფო სისტემა შეიცვალა. საბაზრო ეკონომიკამ გაჩენისთანავე დიდი არევ-დარევა მოიტანა.

ბევრმა დაივიწყა, რომ ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიამდე (ნამდვილ დემოკრატიამდე) რთული და ხანგრძლივი გზაა გასავლელი.

ფაქტები გვიჩვენებს: დღეს საქართველოს ეკონომიკა უკიდურესად დაქვეითებულია. არის ცდები, დასახულია ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ისინი ვერ სრულდება, რადგან არ არის პოლიტიკური სტაბილიზაცია. უფრო მეტიც, დივერსიები, ტერორი, აფეთქებები და ნგრევა ჯერ არ შეჩერებულა. მრეწველობის ყველა დარგი განიცდის ღრმა კრიზისს, რომლის ძირითადი მიზეზია ისევ და ისევ პოლიტიკური არასტაბილურობა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მკვეთრი დეფიციტი, შრომის დისციპლინის შესუსტება, დივერსიები... არ ჩანს ზღვარი, თუ სანამდე შეიძლება დაეცეს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ცხოვრების დონე.. ეკონომიურმა, პოლიტიკურმა, სოციალურმა და ზნეობრივმა კრახმა შექმნა ერის გადაგვარების რეალური საფრთხე. ხალხის გარკვეულმა ნაწილმა დაკარგა არამარტო ეროვნული, არამედ ადამიანური სახეც, მათი ფსიქიკაც კი მოშლილია. თუ ქვეყანაში არ აღსდგა პოლიტიკური სტაბილურობა და ბოლო არ მოეღო ბანდიტიზმსა და შარაგზის ყაჩაღობას, ხალხი ვერ დაუბრუნდება ნორმალურ სამეურნეო თუ სხვა საქმიანობას, ეკონომიკა ვერ გამოცოცხლდება. პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს დამნაშავეობასთან ბრძოლის განსაზღვრული სისტემა და იგი უნდა აისახოს ერთიან სახელმწიფო პროგრამაში. გაჭიანურებულ, დაბნეულ ერს სჭირდება გამამხნევებელი შეძახილი და იმის შეხსენება, რომ სამათხოვროდ გაწვდილი ხელით დგომა არასოდეს ყოფილა ქართველი ერის ჯიშისა და ჯილაგისათვის ნიშნეული. უნდა გავიგოთ, რომ ეკონომიკურად ჩვენ ჯერ კიდევ დამოკიდებულნი ვართ და კარგა ხანს ვერც შევძლებთ თავის დაღწევას, როგორც ეს პოლიტიკურად მოხდა.

ეკონომიკის ახალ სისტემაზე გადასვლისას საჭიროა სწრაფი რეფორმები, მეწარმეთათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა, მაგრამ ეს გეგმაზომიერად უნდა მოხდეს, რათა ქვეყანა ქაოსში არ ჩაიძიროს. საჭიროა შედარება და აწონ-დაწონა იმისა, თუ რას ეწირება ეკონომიკური ინტერესები — რეალურ პოლიტიკურ დივიდენდებს, უბრალოდ, ჩვენს ამბიციებს, თუ დიდი ხნის ნანატრი და მოპოვებული დამოუკიდებლობის დაკარგვის შიშს?

გიორგი ჯინჯველაშვილი,
იურისტი, ომისა და შრომის ვეტერანი.

გაზაფხული მალე დადგება!

გამოთქმა „ქალაქი უსოფლოდ არ ვარგა და სოფელი უქალაქოდო“, ნამდვილად სწორია, მაგრამ დღეს ქალაქი დიდ გასაჭირშია — მთელი ინდუსტრია ფაქტობრივად გაჩერებულია, უმუშევრობამ იმატა.

გამრჯე კაცი უშრომლად ქალაქში ვერ გაძლებს, წავა სოფლად, მაგრამ მშრომელ კაცს ხელი აღარ მიუწვდება მგზავრობაზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც სანთლით საძებარია. მიწა კი ელის გამრჯე კაცის ხელს. დროა, ვიფიქროთ აუცილებელი სამეურნეო ტექნიკის დამზადებაზე, თუ არადა, სხვა ქვეყნებიდან შემოვიტანოთ, რომ ჩვენივე შრომით, მოსავლით შევძლოთ ოჯახისა და თავის რჩენა, არ ვიყოთ სხვისი ხელის შემყურე. სირცხვილია, ამისთანა მიწის პატრონებს, როგორებიც საქართველოს შვილები ვართ, აგრერიგად გვეჭირდეს. ჩვენმა სამრეწველო ინდუსტრიამ სწრაფად უნდა მოაგვაროს თუნდაც მარტივი, აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების დამზადება და სოფლისათვის მიწოდება.

გაზაფხული მალე დადგება!

თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ინფორმაცია

ტყიბულიდან მსოფლიოს ქალაქებში

მრეწველობის პურის, ქვანახშირის მომპოვებელთა სახელგანთქმული ცენტრის ქ. ტყიბულის მხატვრები და ხალხური ხელოვნების ოსტატები ნაყოფიერ შრომას ეწევიან ხალხური რეწვის ისეთი წამყვანი დარგების წარმოჩენისათვის, როგორიცაა გობელენი, ფარდაგი, თექა და სხვა, რომლებიც სრულყოფილადაა წარმოდგენილი ხათხობის მომპოვებელთა მძლავრი არტერიის სურათების გალერეაში მოწყობილ გამოფენა-გაყიდვაზე.

იგი იხსნება დახვეწილი გემოვნებით და ოსტატობით შესრულებული ნამუშევრებით: „მზიური საქართველო", „განთავისუფლება", „თუშური ფარდაგი", ისინი გ. ყანდარელის, ვ. გოცირიძის, ზ. ქორიძის, ნ. მგალობლიშვილისა და „მრეწველობის პურის" მომპოვებელთა შვილებისა და შვილთა შვილების მომადლებული ნიჭისა და ტალანტის ნათელი დადასტურებაა.

ყველაზე დიდ და ნათელ განყოფილებაში მრავალრიცხოვანი დამთვალიერებლები დიდხანს ჩერდებიან ქ. გურულის, ი. ვარდოსანიძის, ლ. კიკნაძის, თ. ნუცუბიძის, ი. ჯაფარიძის, გ. მერკვილაძისა და სხვათა ნამუშევრებთან, რომლებშიც საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული და ფერთა სიმრავლის ლამაზად შეხამების სურათები გვატკბობს.

რ. გურულის „მარანი", „სტუმართმოყვარე მასპინძლები", დ. ოჩიაურის „ფიროსმანი", „შემოდგომა თბილისში" და სხვა ქმნილებები უ. ჯაფარიძის, გ. გაბაშვილის ნაშრომთა ყველაზე სრულყოფილ სურათებსა და ნატურმორტებს გვაგონებენ, და გვიმტკიცებენ, რომ ქვეყანას ეზრდება ყალმისა და საჭრეთლის ოსტატთა თაობები.

ლამაზად გაფორმებულ სტენდზე „ტყიბულიდან პარიზში, მადრიდსა, ლონდონსა, რომსა და მსოფლიოს სხვა ულამაზეს და მდიდარი კულტურების ცენტრებში" ვკითხულობთ, რომ ტყიბულელთა 82 ნამუშევარს გაეცნენ ევროპისა და აზიის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მკვიდრნი და დატკბნენ მათი ნამუშევრების ხილვით.

ამოღებულია მილიარდები

— ბორჯომის საგადასახადო ინსპექციამ 1994 წელს რაიონის 80-მდე ორგანიზაციაში მოაწყო შემოწმება, რის შედეგადაც, 39 ორგანიზაციაში სერიოზული ფინანსური დარღვევები გამოვლინდა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს აღნიშნული ინსპექციის უფროსმა ლევან კიკნაძემ. — ამოღებულია და ბიუჯეტში შეტანილია 133 მილიარდი კუპონი.

გამოვლინდა რეგისტრაციის გარეშე შემოსავლის მიმღები 25 მოქალაქე, რომლებსაც ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრათ გადასახადი 657 მილიონი კუპონი. გარემოს გაჭუჭყიანების გადასახადზე ანგარიშების წარმოუდგენლობისათვის 270 მილიონი კუპონით დაჯარიმდნენ 11 ორგანიზაციის ხელმძღვანელები და ბუღალტრები. ხელფასებიდან საშემოსავლო გადასახადების შემოწმებისას გამოვლინდა 12 მილიარდი კუპონი, რომელიც არ იყო შეტანილი ბიუჯეტში.

დროა, ყველამ შეიგნოს, რომ შემოსავლის დამალვის არც ერთი ფაქტი არ დარჩება რეაგირების გარეშე. ცივილიზებულ ქვეყნებში სანთლით საძებნელია ისეთი ორგანიზაცია, ან კერძო პირი, რომელიც ცდილობდეს შემოსავლის დამალვას. ჩვენთან ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა ამ საკითხებს, ამისათვის საჭიროა კანონის გამკაცრება, რათა ვერავინ გაბედოს საფინანსო სფეროში თაღლითობა.

დაიკარგა ბილიარდის მაგიდა

მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკიდან მოიპარეს ბილიარდის მაგიდა, რომელიც უნიკალურია თუნდაც იმით, რომ ამ მაგიდაზე უთამაშია ბევრ გამოჩენილ პიროვნებას, მათ შორის, გარი კასპაროვს, ნონა გაფრინდაშვილს და სხვებს.

ბილიარდის მაგიდა ნემსი არ არის, რომ ჯიბეში ჩაიდო. იქნებ ვინმემ დაინახა და იცის, რაიმე ამ ფაქტის შესახებ.

გთხოვთ, თუკი ვინმემ რაიმე იცით, დარეკეთ მთაწმინდის პოლიციის სამმართველოში. ტელეფონი: 98-42-45.

თბილისის მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკის დირექცია.

სანთელი

მისაბაძ მაგალითად დარჩა

ნათქვამია, საქმემ გამოგაჩინოსო. ბატონი შალვა ჩაგუნავა იმისთვის მოევლინა კინემატოგრაფს, რომ ეს ანდაზა განეხორციელებინა: იგი 200-ზე მეტი დოკუმენტური ფილმის, 500-ზე მეტი კინოჟურნალისა და ალმანახის ავტორია. თავიდან პოეზიით დაიწყო, თხზავდა ლექსებს და აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში, პარალელურად კინოზე ოცნებობდა. უნივერსიტეტში პირველმა ჩამოაყალიბა კინემატოგრაფის მეგობართა საზოგადოება: წერდა წერილებს კინოზე, მონაწილეობდა სცენარისა და მასალის განხილვაში. „საქკინომრეწვში" (ასე ერქვა მაშინ კინოსტუდიას) მწერალთა საგზურით მოვიდა, ეს იყო 1926 წელს. 1928 წელს მისი ლიბრეტოთი რეჟისორმა სიკო დოლიძემ გადაიღო დოკუმენტური ფილმი „მიწის ძახილი", სადაც საინტერესოდ იყო დანახული ადამიანი და მისი პრობლემები. მალე სასწავლებლად მიდის ლენინგრადში. შემდეგ მოსკოვს (კინემატოგრაფიის ინსტიტუტი), სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ რუსული კინოს პიონერები კულეშოვი და ეიზენშტეინი.

სტუდენტობისას (1931) გადაიღო ფილმი „აჭარა დღეს", გამოამჟღავნა კინოპუბლიცისტის მახვილი ალღო. კინოინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთელი ენერგიით ჩაება ქართული დოკუმენტური კინოს საქმიანობაში. გადაიღო პირველი ქართული ხმოვანი კინოჟურნალი („საბჭოთა საქართველო" № 4), რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო.

იმთავითვე გამომჟღავნდა ბ-ნი შალვას შემოქმედების პატრიოტული მიზან-დასახულობა. სწორედ რომ ეროვნული კულტურის დიდი სიყვარულით აიხსნება ჩვენი მხატვრული ლიტერატურისა და წარმომადგენელთა ცხოვრების ამსახველი კინონარკვევები: „რუსთაველი", „ილია ჭავჭავაძე", „აკაკი წერეთელი", „ნიკოლოზ ბარათაშვილი", „გალაკტიონ ტაბიძე", „ივანე ჯავახიშვილი". „სიმონ ჯანაშია", „კონსტანტინე გამსახურდია", „გიორგი ლეონიძე", „მირზა გელოვანი" და სხვ.

სამამულო ომის დროს ბატონი შალვა ყირიმისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტებზე მოქმედ არმიაში გადამღებ ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ფირზე იღებდა ჩვენი მეომრების გმირული ბრძოლის ამსახველ ეპიზოდებს, თავადაც იბრძოდა იარაღით ხელში. იშვიათ სიმამაცეს და თავგანწირულობას იჩენდა.

ომის შემდგომი პერიოდიც მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა შემოქმედისათვის. ბევრი საინტერესო ფილმი გადაიღო ომისა და სამოქალაქო და სამეურნეო ცხოვრების თემებზე. გახმაურდა ფილმი „ალაზნის ველი", რომელმაც ვენეციაში საერთაშორისო კინოფესტივალზე საპატიო დიპლომი დაიმსახურა.

მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბატონი შალვა უქმად არავის უნახავს. მხოლოდ შრომა იყო მისი დევიზი.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ 80 წლის რეჟისორმა ახალგაზრდული შემართებით მოიარა ხევსურეთის ძნელად მისასვლელი ადგილები და თავის შვილ მერაბთან ერთად შექმნა შესანიშნავი (სამწუხაროდ, უკანასკნელი) ფილმი „ხევსურეთი — მითის გაცოცხლება" (სცენარის ავტორი კობა არაბული). „ხევსურეთის დაცარიელებულ სოფლებში სიცოცხლე უნდა დაბრუნდეს", აი ამ ფილმის ლაიტმოტივი.

ბოლო წლებში კინოხელოვანში იმძლავრა ნოსტალგიამ ჩვენი ქვეყნის წარსულისა და მივიწყებული ტრადიციების მიმართ. ამიტომაც გახდა გულშემატკივარი „ეროვნული ტრადიციების ცენტრის" („სერაფიტის") საქმიანობისა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბატონმა შალვამ, ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაციის მიუხედავად, ჩამოაყალიბა შემოქმედებითი გაერთიანება, რომელსაც „ჩანჩქერი" უწოდა. ჩანჩქერი ხომ სიწმინდის, სიცოცხლის და შეუპოვრობის სახეა...

დიახაც, რომ ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა ხანდაზმულ, მაგრამ სულიერად უბერებელ ხელოვანს. მეტად დასანანია, რომ არ დასცალდა.

ჩვენთვის მისაბაძ მაგალითად დარჩა ბატონ შალვა ჩაგუნავას, დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესიული კეთილსინდისიერება და ზნეობრივი თვისებები.

რეზო ჩხეიძე.

* * *

სურათზე: შალვა ჩაგუნავა და ირაკლი აბაშიძე ფილმ „შოთა რუსთაველზე" მუშაობის დროს.

მთავარი მაინც პროფესიონალიზმია

ახლახან გორის პოლიციის სათავეში ჩაუდგა გამოცდილი პროფესიონალი, რომელმაც ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, უკვე მოიპოვა ავტორიტეტი ძალისმიერ ორგანოებში ერთგული მუშაობით. საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა გორის პოლიციის შეფს ნოდარ დალაქიშვილს და სთხოვა გაეცნო დღეისათვის მათ სამსახურში არსებული ვითარება.

— თუ არ გიყვარს შენი საქმე, და რაც მთავარია, არა ხარ პროფესიონალი, ასეთ პიროვნებას დღეს ნამდვილად გაუჭირდება ძალისმიერ სტრუქტურებში მუშაობა, — თქვა ბატონმა ნოდარმა, — არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე ფაქტორიც, როცა მოქალაქე მოდის შენთან თავისი წუხილით, ელოდება შველას და ამ დროს კი საპასუხოდ გულგრილობა დახვდება, ეს აუტანელია. ჩემი მოსვლის პირველი დღიდანვე პოლიციის თანამშრომლებს განვუცხადე: ვინც ჩვენი პროფესიის ერთგული არ არის, უემოციოდ სამსახური დატოვოს-მეთქი.

გორის პოლიციის საქმიანობის წარმატებაზე საუბარი ახლა ცოტა უხერხულადაც კი მიმაჩნია, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 1994 წელი ჩვენმა სამსახურმა გარკვეული დადებითი შედეგებით დაამთავრა. აღინიშნა სისხლის სამართლის დანაშაულობების კლება, კერძოდ, სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით მათი რიცხვი 30 ერთეულით შემცირდა. მათ შორის არის ისეთი კატეგორიის დანაშაულობები, როგორიცაა განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა, მოქალაქეთა პირადი ქონების ძარცვა-ყაჩაღობა და სხვა. ჩამორთმეულია 50 ერთეულზე მეტი სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღი და ფეთქებადი ნივთიერება, მძიმე სამხედრო ტექნიკა, რომელიც სამხედრო დანაყოფებს ჩაბარდა, დავაკავეთ ყაჩაღთა 11 ჯგუფი. ისიც მნიშვნელოვანია, რომ გაუმჯობესდა დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელიც. მაგრამ ჯერ კიდევ მოუგვარებელია პრობლემა, რომელიც ქვეყანას ყველაზე უფრო აწუხებს — ნარკომანია. გადაწყვეტილი გვაქვს, 1995 წელს უკომპრომისო ბრძოლა გამოვუცხადოთ მის გამავრცელებლებსა და მომხმარებლებს, ნარკომაფიას. ასეთი შემართებით არის განწყობილი გორის პოლიციის თითოეული თანამშრომელი. ვნახოთ, როგორ შევასრულებთ დანაპირებს.

ჩვენი მხრივ, დავსძენთ, რომ ნოდარ დალაქიშვილს — ამ მეტად კეთილსა და მოკრძალებულ, ამავე დროს პროფესიაში მომთხოვნსა და მკაცრ პიროვნებას, არ გამოუტოვებია თითქმის არც ერთი ოპერაცია, რომელიც ამ ბოლო ხანს საქართველოში განხორციელდა. ახლახან ხაშურში განხორციელებულ ფართომასშტაბიან ოპერაციაში მის ხელმძღვანელს ბატონ ემზარ საბანაძეს ვაჟკაცურად ედგა მხარში გორის პოლიციის შეფი.

გულნარა მარკოზაშვილი.

სამშობლოს ჯარისკაცი სჭირდება

წვევამდელთა გაწვევის პროცენტული მაჩვენებლებით რესპუბლიკაში მოწინავეთა რიგებში ვიმყოფებით, მაგრამ ნაკლოვანებები მაინც გვაქვს, — აღნიშნა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ბორჯომის რაიონის სამხედრო კომისარმა ვიცე-პოლკოვნიკმა გელა ქუშაშვილმა. — სამწუხაროდ, არის ფაქტები, როცა წვევამდელი ახალგაზრდები თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს და იმალებიან. ამას მშობლების დახმარებით ახერხებენ. ამჯერად თავს ვიკავებ მათი გვარების დასახელებისაგან, ვიმედოვნებ, თვითონ, გამოიტანენ დასკვნებს და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის რთულ პროცესში ახალგაზრდამაც და ხანდაზმულმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ჯარისკაცმა უნდა დაიცვას. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფმა ჯარისკაცმა ნორმალურ პირობებში აითვისოს უახლესი სამხედრო ტექნიკა და საბრძოლო ტაქტიკა. ტანკისტის, არტილერისტის, სხვა სამხედრო სპეციალობების შესწავლას და სრულყოფილად დაუფლებას სერიოზული მიდგომა სჭირდება.

რაც შეეხება ახალგაზრდების გაწვევას, ეს მარტო სამხედრო კომისარიატების საქმე როდია. ამაში უნდა დაგვეხმარონ სადაბო და სასოფლო საკრებულოები, პოლიციის უბნის ინსპექტორები, პედაგოგები, მთელი საზოგადოებრიობა, ეროვნული შეიარაღებული ძალების ძლიერებაზე ყველამ უნდა იზრუნოს.

სერგო კუტივაძე:

„ტურნეთი უკმაყოფილო ვარ"

როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები 7-14 იანვარს გერმანიაში იმყოფებოდნენ, სადაც მონაწილეობდნენ მინი-ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში ქალაქ კელნში. ისინი აგრეთვე, დიდ მოედანზე ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ მენხენგლადბახის „ბორუსიის" საბაზო კლუბს. ამ ტურნეს შესახებ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გვესაუბრება გუნდის მთავარი მწვრთნელი სერგო კუტივაძე.

— დინამოელთა წარუმატებლობა (2:7 „შტუტგარტთან", 4:6 „კარლსრუესთან" და 3:2 „ბორუსიის" საბაზო კლუბთან) ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მოგეხსენებათ, მომავალი სეზონისათვის მზადება ახლახან დავიწყეთ და ჯერ კიდევ დაბალია ჩვენი ფეხბურთელების ფიზიკური კონდიციები, კელნის ტურნირის შემადგენლობა კი, შარშანდელთან შედარებით, უფრო ძლიერი იყო (ასპარეზობა „კელნმა" მოიგო). ტრადიციისამებრ, ბიჭები ბურთიანად ცდილობდნენ მეტოქეთა კარში შესვლას და მეტისმეტად ერთობოდნენ ინდივიდუალური თამაშით. თანაც, ტაიმი 10 წუთს გრძელდებოდა და, ვიდრე გონს მოვიდოდით, მეტოქე უკვე შედეგს აღწევდა. ისევ „კარლსრუესთან" 3:1-ს ვიგებდით. ალბათ, იმანაც იმოქმედა, რომ დეკემბერში დილმის საწვრთნელ ბაზაზე 10 დღის განმავლობაში ცხელი წყალი არ გვქონდა. რაც შეეხება ცალკეულ ფეხბურთელებს, მათგან მხოლოდ ანჩაბაძე გამოირჩეოდა (მან ბოლო მატჩში 2 გოლი გაიტანა). სამწუხაროდ, ვერ გაამართლა იმედი გიორგი ქინქლაძემ, არადა, მის „შესამოწმებლად" ბუნდესლიგის მრავალი მეთვალყურე ესწრებოდა ტურნირს... ჩვენთვის მოულოდნელი იყო მეკარე ზოიძის სუსტი თამაშიც.

გერმანელებისაგან გასაოცარია, მაგრამ რატომღაც ტურნირის ორგანიზაცია საკმაოდ მოიკოჭლებდა. ასე, მაგალითად, ვარჯიშისა და კვების დრო ერთმანეთში ერეოდათ, ხოლო ერთ-ერთი შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ბუტერბროდები გასახდელში შემოგვიტანეს (?!).

ერთი სიტყვით, ტურნეთი უკმაყოფილო ვარ... ოპტიმიზმით [illegible], რომ ჩვენთან მრავალი პერსპექტიული ახალგაზრდა ვარჯიშობს.

ჩვენი ფეხბურთელები იანვრის დამლევს მოსკოვს მიემგზავრებიან თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მესამე გათამაშებაში სასპარეზოდ, ხოლო თებერვალში ორკვირიან შეკრებას გაივლიან უცხოეთში (სავარაუდოდ თურქეთის ქალაქ ანთალიაში). გუნდი დატოვეს და ისრაელში სათამაშოდ წავიდნენ ჩხეიძე და ჩიქოვანი, ყაველაშვილმა კი განაცხადა ვლადიკავკაზის „სპარტაკში" გადასვლაზე და ისევ თბილისელთა კაპიტანია.

გია პლატონიშვილი.

ხსოვნა



ოთარ ყუბანეიშვილი

ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა. 58 წლის ასაკში გარდაიცვალა არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის სამშენებლო მასალებისა და მშენინდუსტრიის პერსპექტიული განვითარების სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ ყუბანეიშვილი.

ბატონ ოთარს დიდი ღვაწლი აქვს გაწეული რესპუბლიკის სამშენებლო ინდუსტრიის ჩამოყალიბებისა და საბინაო მშენებლობის განვითარების საქმეში. იგი გამოირჩეოდა ღრმა პროფესიონალიზმით, საქმისადმი მეცნიერული, შემოქმედებითი მიდგომით, ღვთისაგან მომადლებული ნოვატორული ბუნებით. ქმნიდა ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური ათვისების პერსპექტიულ პროგრამებს, თავდაუზოგავად ცდილობდა მათ პრაქტიკულ განხორციელებას და მუდმივად გრძნობდა დიდ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმის მიმართ.

სამწუხაროა, რომ ბატონმა ოთარმა ნაადრევი და მოულოდნელი სიკვდილის გამო, ვერ მოასწრო თავისი შემოქმედებითი გეგმების სრულად განხორციელება.

ბატონი ოთარის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მის კოლეგებს, მეგობრებსა და ახლობლებს.

საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტი; „თბილზნიეპი"; სკდბ „მშენინდუსტრია".

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

თაღლითები

კომპანია „გზა" და გზააბნეული მეანაბრეები

ტრადიციად დამკვიდრდა გამომცემლობა „სამშობლოს" სააქტო დარბაზში სატრასტო კომპანია „გზის" გზააბნეულ მეანაბრეთა თავყრილობები. თითქმის ყოველ პარასკევს აურ-ზაურით, ცრემლითა და გოდებით, მუდარითა და მუქარით ცდილობენ ისინი კომპანიის მესვეურთა გარეცხილ-გალილავებულ-გახამებული სინდისის გამოფენა-გამომზეურებას. მართალია, დაკარგული დოლარების დასაბრუნებლად ეს აქცია უეფექტოა, მაგრამ სევდამწარებულთა დასაახლოებლად და დასამეგობრებლად უკეთესს ვერც ინატრებს კაცი.

ვინ არიან ისინი, ვინც ეს ნატვრა რეალობად აქციეს?

„მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა!"

ასე განაცხადა შარშან ერთ-ერთი სოლიდური ჟურნალის ფურცლებზე ათასზე მეტი ოჯახის „მარჩენალმა" და „ამშენებელმა" ზაზა მინდიაშვილმა.

— როგორი უნდა იყოს ბიზნესმენი?

ჟურნალისტის ამ კითხვას „საქართველოს კაპიტალიზმის სათავეებთან მდგომმა მომავლის ბიზნესმენმა" (როგორც მას თურმე მეგობრები და ნაცნობები უწოდებდნენ) ასე უპასუხა: ურთიერთობის დროს კი არ უნდა აფრთხობდე, უნდა იზიდავდე.

მართლაც, არავის აფრთხობდა კეთილშობილი ცხვირ-პირის პატრონი. პირიქით — იზიდავდა და მეანაბრეებში ნდობას აღძრავდა.

„— კლიენტის სარგებლობაზე თუ ფიქრობთ?

— საქმეში პირველი მომხმარებელი არის კლიენტი. ყველანაირი ბიზნესი მასთან ურთიერთობით იწყება. არსებობს მარკეტინგის ასეთი განსაზღვრება: თევზის დაჭერა თუ გინდა, ისეთი ჭია უნდა ჩაუგდო, რომელიც მას უყვარს, ისე მე ჩემს სარგებელზე უფრო ვფიქრობ, თავისაზე — მან იფიქროს". (განუმეორებელი ავტოპორტრეტია!)

და აი, „მარკეტინგის განსაზღვრების" საფუძველზე ოცპროცენტიანი „ჭია"-დივიდენდი გადმოაგდო და 26 წლის ახალგაზრდამ ათასზე მეტი „ღლავი" ანკესზე წამოაგო.

— ფული ფულთან მიდის, თუ ჭკვიანის ხელშია. რატომ არ უნდა იყოს ფულის კეთება თვითმიზანი, თუ კი ის დოვლათის ეკვივალენტია? — გაკვირვებული ეკითხება ჩვენი „ბიზნესმენი" ჟურნალისტს.

დასტურ, ჭკვიანების ხელში მოხვდა ბრიყვთა და გულუბრყვილოთა დოლარები. ერთ წელიწადში დასახლდა, მთვარესავით გაივსო მინდიაშვილი, შრომის ფერხულში ძმებ-ბიძაშვილ-მამიდაშვილ-სიძე-ქვისლებიც ჩააბა. გაფოფინდა, გაიფხორა ერთ დროს თავმდაბალი და სიმპათიური მისი მეუღლე. ერთი სიტყვით, მათ გარშემო ყველაფერი „გადამწვანდა".

„— რაც შეეხება შავ საქმეს... საბოლოოდ შავი საქმე მკეთებელს არ შერჩება, რადგან ამ საქმის ბოლო შავად მთავრდება. ასე რომ, არა, ღირს..."

ნაკადულივით რაკრაკებს პირშავი რესპოდენტი და, რაკი ქუჩაზე „მწვანე" ანთია, მაინც არ ჩერდება.

„აბიჟაეშ, ნაჩალნიკ!"

მეანაბრეთა ეჭვით გაჯერებულ კითხვას ამ საყვარელ გამოთქმას მიაგებებდა ხოლმე ცხვირღიმილიანი, ცრუსალმიანი ბიჭი, კარგა ხანს სხვისი ლოდარებით რომ აბნევრებდა გაზეთ „თბილისის" რედაქტორის სავარძელში ჩაფულფულებულ ამოუპირავ-ამოუვსებ საკუთარ სტომაქს, ჩრდილს აყენებდა უდანაშაულო კოლექტივს და ზურგს უმაგრებდა ზაზა მინდიაშვილს.

ვაგლახ! „შეჭმულ" დოლარებზე მეტად დაფასდა ის, რაც მოტყუებულ მეანაბრე-კოლეგებს შორის დაკარგა გია ზუბაშვილმა, თუმცა, წარსულზე ვიშვიში საქმეს ვერ შველის.

მაშველთა კორპუსი გვიშველის!

ეს მეანაბრეთა ლოზუნგია, რადგან მაშველთა კორპუსის ავტორიტეტით მოხერხებულად ისარგებლეს სატრასტო კომპანიის „გზის" მესვეურებმა და მეანაბრეთა ნდობა მოიპოვეს.

როგორც N. რაოდენობის სისხლის სამართლის საქმე, „გზის" საქმეც ძიებაშია. მეანაბრეთა შორის ორი აზრი არ არსებობს, რომ დაკითხვის ოქმები, ცნობები, დახასიათება-რეკომენდაციები, ახსნა-განმარტებები, განცხადებები და მიმართვები, ერთი სიტყვით, აღძრული და „აკინძული" საქმე დოლარებს ვერ შეცვლის.

როგორც ერთ-ერთ შეკრებაზე მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის, მოადგილემ ზურაბ ჭყონიამ მეანაბრეებს აუწყა, მათი დოლარების დასაბრუნებლად გზა მოიძებნა, ახლა ყველაფერი მინდიაშვილისა და ზუბაშვილის ფხასა და გერგილიანობაზეა დამოკიდებული.

„მგელი, მგელიო!"... იმდენჯერ მოტყუვდნენ მეანაბრეები, იმდენჯერ ჩაუქრათ იმედი, გვირაბის ბოლოს მხოლოდ ერთ ნათელ წერტილს ხედავენ. ეს გახლავთ ჯაბა იოსელიანი, რომელიც ალბათ პირად კონტროლზე აიყვანს იმ კომპანიის საქმიანობას, რომელმაც ლონეს ხერხი ამჯობინა — მაშველთა კორპუსის სახელს ამოეფარა, მის ჩრდილქვეშ გალაღდა და სიცრუითა და სიხარბით ათასზე მეტ ოჯახს არსებობის „უკანასკნელი წყაროც დაუშრიტა.

ლილა კოშკაძე.

პატარების ზეიმი

ბავშვებზე ზრუნვა ერის სიჯანსაღეა. ჩვენს ძნელ პირობებში, როცა რომელიმე ორგანიზაცია ქველმოქმედებას ეწევა, და ისიც, ბავშვებისათვის, უკვე კეთილშობილებაა.

სწორედ ერთ-ერთი ბოლო ქველმოქმედების შესახებ გვინდა გაგიზიაროთ ჩვენი სიხარული და მადლიერება.

ნებისმიერ ღონისძიებას სჭირდება ფაქიზი ხელი და სული, სწორედ ეს უნარი გამოავლინა ახალგაზრდულმა წითელმა ჯვარმა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც იძულებით გადაადგილებული, მზრუნველობას მოკლებული და ინვალიდი ბავშვებისათვის მოაწყო საქველმოქმედო საშობაო ზეიმი.

— ღონისძიების მოწყობაში დიდი დახმარება გაგვიწია წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციამ და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს წარმომადგენლობამ, — გვითხრა კონცერტის დასასრულს ახალგაზრდული წითელი ჯვრის პრეზიდენტმა მაკა ქემხაძემ.

ნორჩებმა იხილეს თავიანთი თანატოლების საქველმოქმედო წარმოდგენა, კონცერტის შემდეგ კი ისინი დაასაჩუქრეს.

საქართველოს ბავშვთა ფედერაციაში ამგვარი ღონისძიება უკვე სამჯერ მოეწყო. მათ გადაწყვეტილი აქვთ პატარები კვლავ ახალი კონცერტით გაახარონ. ამჯერად ბავშვებს ისინი მოზარდ მაყურებელთა თეატრში მიიწვევენ.

იზა ჯაჯაძე.

ვახტანგ ჩიქოვანი

გარდაიცვალა რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს სამმართველოს უფროსი, სამინისტროს კოლეგიის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ვახტანგ ირაკლის ძე ჩიქოვანი.

დაიბადა 1932 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე წელი მუშაობდა კვების მრეწველობის სისტემაში, ხოლო 1962 წლიდან გარდაცვალებამდე რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ეკონომიკის სამინისტროში, სადაც გაიარა გზა უფროსი ინჟინრიდან სამმართველოს უფროსის თანამდებობამდე.

ვახტანგ ჩიქოვანი გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომის უნარიანობით, მაღალი პროფესიონალიზმით და პასუხისმგებლობით.

თვალსაჩინოა ბატონი ვახტანგის წვლილი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში, სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში, რითაც მან დაიმსახურა პატივისცემა და ავტორიტეტი.

ვახტანგ ჩიქოვანის დამსახურება აღნიშნულია მთავრობის ჯილდოებით. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგებისა და მეგობრების გულში.

რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო.

მეუღლე ლადო, შვილები გურამ, ნანული აბრაბაძეები. და რუსუდან ჩიკვაიძე, რძლები ლალი, თანა, ნინო, ფეფო, ლიდა. გულნარა, სიძე ნუგზარ იაშვილი, შვილიშვილები თათია აბრაბაძე, კოკა, ნუგზარ იაშვილები, შვილთაშვილები ნინო, ნუგზარი, ნათია, გურამი, ლალი, ანანო, მაზლები ანდრო, რომანი, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები, მძახლები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა (ვერიკო) ნიკოლოზის ასული ჩიკვაიძე-აბრაბაძე.

ჟურნალ „საქართველოს სამედიცინო მოამბის" სარედაქციო კოლეგია, საბჭო და რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ რედაქციის განყოფილების გამგეს, ქალბატონ ჯულიეტა მინდიაშვილს დედის

მარიამ მინდიაშვილის

გარდაცვალების გამო.

თარსი დღეები

I

18 იანვარი, მართლაც, თარსი გამოდგა საქართველოს პარლამენტის წევრ თენგიზ კიტოვანისა და მისი 882-კაციანი ამალისათვის. გორში, სოფელ ოსიაურთან და ზეხტაფონში, სოფელ ხიმონეთთან, რესპუბლიკის ძალისმიერმა უწყებებმა და მათდამი დაქვემდებარებულმა შეიარაღებულმა ძალებმა ურთულესი ოპერაცია განახორციელეს, და, შესაძლოა, ქვეყანას კიდევ ერთი დიდი უბედურება ააცილეს თავიდან.

ამ საშიშ აქციას სახელმწიფოს მეთაურმა უკვე მისცა პოლიტიკური შეფასება; ინციდენტის სამართლებრივ ასპექტებზე ვრცლად ისაუბრეს ძალოვანი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა.

თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ თენგიზ კიტოვანი საპატიმროშია. წინ გამოძიების გრძელი გზაა. ამისათვის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის ხელმძღვანელობით კიდეც შეიქმნა საგამოძიებო ბრიგადა.

საზოგადოებრიობას აინტერესებს სისხლის სამართლის კოდექსის, რომელი მუხლით დააკავეს თენგიზ კიტოვანი და მისი „ლაშქარი". კონკრეტული მუხლი ჯერ არ მიუყენებიათ. აკი თქვა კიდეც გენერალურმა პროკურორმა, აქ დანაშაულობათა მთელი ჯაჭვია — უკანონო შეიარაღებული ფორმირების ჩამოყალიბება გნებავთ, თუ ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა, ყაჩაღობა, ძალადობა და ძარცვა-გლეჯა. საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივი აზრი მკაცრად პოლარიზებულია. ვისთვის კიტოვანი გმირია, ვისთვის — დამნაშავე, რომელმაც ქვეყანას ახალი განსაცდელი მოუმზადა. 1992 წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, შემდეგ სამხედრო და სახელმწიფო საბჭოების წევრი, ყოფილი ვიცე-პრემიერი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი დიდი ხანია იმუქრებოდა, თუ სახელმწიფო კვლავ „უმოქმედობას არჩევს", თავად წავალ და აფხაზეთს გავათავისუფლებო. თანამზრახველებთან ერთად ჩამოაყალიბა, ეგრეთ წოდებული საქართველოს ეროვნული განთავისუფლების ფრონტი, რომელიც ჯერ კიდევ 4 იანვარს სასამართლომ უკანონოდ ცნო. დღეს კი, კარგად ინფორმირებული წყაროები ასაბუთებენ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ლაშქრობის მოწყობის მოთხოვნა მხოლოდ შირმა იყო; კიტოვანი, სინამდვილეში, სენაკში დაბანაკებას, ხალხის ამხედრებასა და ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ქვეყანაში სამოქალაქო ომის ცეცხლის გაჩაღებას აპირებდა; რამდენად სწორია ეს დასკვნა, მომავალში, გამოძიების მასალებიდან შევიტყობთ, მანამდე კი, ერთი რამ უსათუოდ უნდა ითქვას: საქართველოში დაღვრილი სისხლისა და ცრემლის შემდეგ, ვერ დადგები კიტოვანის გვერდით. მიზანი, თუნდაც კეთილშობილური, ყოველთვის არ ამართლებს მოქმედებას. დროა, სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსოს და არა სათაგვეს, სადაც ყველა თავის სოროს აშენებს, თავის ჭკუაზე დადის.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

382 კაცში მხოლოდ 70-ს ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, გვითხრეს. ბევრი დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელი იყო, მათში 7 ძებნილიც ერიაო. ყველაფერს გაარკვევენ, იმედია, უდანაშაულოდ არავის დასჯიან.

საქართველოს ჰყავს შეიარაღებული ძალები — ჯარი, პოლიცია, უშიშროების სამსახური. რა ცალკეული პიროვნებისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების საქმეა ქვეყანაში, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა თუ მისი ტერიტორიული მთლიანობისათვის ზრუნვა. ეს აქცია იმის წინაპირობაც არის, რომ დღეიდან გაერთიანდება ერი, წერტილი დაესმევა ყოველგვარ თვითნებობასა და ანარქიას.

II

ბუშინში, კუმისში ძაღლების „ომი" ვნახე. ტყუილი ყოფილა, რომ ამბობენ, ძაღლი ძაღლის ხორცს არ შეჭამსო. წაეკიდნენ ერთმანეთს, ორი ერთზე მიდიოდა. რა უსუსურია ადამიანი, ვერ გააშველებ გაავებულ, პირსისხლიან ცხოველებს. დედაკაცის მანდილივით ჩააგდებ მათ შორის ქვა, კეტებით დაერივნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ძაღლები კიდევ დიდხანს ფლეთდნენ, ღრღნიდნენ, გლეჯდნენ ერთმანეთს... მისავათდნენ, ღონე გამოეცალათ, მაგრამ ბრძოლას თავი მაინც არ ანებეს...

ეს ამბავი, წინა კვირას რესპუბლიკაში მომხდარი მკვლელობების საგანგაშო სტატისტიკამ (12) მომაგონა. ნუთუ ადამიანი ადამიანისთვის მართლაც მგელია?! — ყოველ შემთხვევაში, საკამათო არ არის, რომ ძაღლზე არანაკლებ ავია და შეუბრალებელი.

განა, უცხოებს ებრძვიან, უფრო მეტად, ერთმანეთს... მეზობელი მეზობელს არ ინდობს, მამა — შვილს...

ამის მაგალითები თავზე საყრელია:

გადაკეთებული „სამოსწავლო" ავტომატით მიყენებული ჭრილობით, გორის საავადმყოფოში, გარდაიცვალა შინდისელი, 20 წლის თემურ ნასყიდაშვილი. მკვლელი, 19 წლის ყმაწვილი, მისი თანასოფლელია.

ხარაგაულში, სოფელ წაქვაში, 30-30 წლის ახალგაზრდები წაკამათდნენ. პავლე ბაჩიძე დანით ფეხში მიყენებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

სოფელი დიღომი. 11 იანვარს, ღამით, აქაც დატრიალდა ტრაგედია. დავით კედლიშვილი მისი თაობის ყმაწვილმა გაიმეტა.

ხარაგაულშივე, შვილმა 66 წლის მამა მოკლა (!).

„ჩვენები" საქართველოს საზღვრებს გარეთაც, შორეულ ოკეანეებშიც, არ ითმობენ ერთურთს. ეს შემთხვევა თბომავალ „ზუგდიდზე" მოხდა, ახალ წელს, 1 იანვარს, გემი ლაგოსის ნავსადგურში იდგა. მექანიკოსმა ალექსანდრე გირბამ დანით დაჭრა კაპიტნის უფროსი თანაშემწე თემურ შერვაშიძე და ელექტრო-მექანიკოსი ანატოლი ლაშუხინი.

სამივენი ბათუმლები არიან. რა ვერ გაიყვეს?! — ეტყობა, მახუსი მოერიათ...

ისევ ძაღლების ჩხუბი გამახსენდა. ის ერთი, ქვეშ რომ იყო, ზოგჯერ ახერხებდა დასხლტომას, თუმცა, მაინც არ გარბოდა, სამაგიეროს გადასახდელად იკრებდა ძალებს. „სეირის" მაყურებელმა პატარა ბიჭებმა მითხრეს: — ძლიერი ძაღლია, მაგრამ პატრონი აღარა ჰყავს და დამშეულიაო...

იმ დღეს, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ სისასტიკე ძაღლური მოდგმისაა, ძალიან საშიშია და ამაზრზენი.

ზაურ მაქარაძე.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 23 იანვრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	1,001,391.00	კუპონი
ავსტრიული შილინგი	120,103.81	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2,026,179.93	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	410,484.43	კუპონი
გერმანული მარკა	845,197.23	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	753,799.31	კუპონი
დანიური კრონი	214,449.83	კუპონი
100 იტალიური ლირა	80,010.38	კუპონი
კანადური დოლარი	918,598.62	კუპონი
ნორვეგიული კრონი	192,820.07	კუპონი
აშშ დოლარი	1,300,000.00	კუპონი
ფინური მარკა	274,404.84	კუპონი
ფრანგული ფრანკი	244,775.09	კუპონი
შვედური კრონი	173,373.70	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	1,006,972.32	კუპონი
10 იაპონური იენი	130,391.00	კუპონი
ეკიუ	1,598,740.48	კუპონი
10 ესპანური პესეტა	97,190.31	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	54,342.56	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	2,003,041.52	კუპონი
ისლანდიური კრონი	19,114.19	კუპონი
ქუვეიტური დინარი	4,347,826.99	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	7,906.57	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	81,982.70	კუპონი
სინგაპურული დოლარი	890,837.37	კუპონი
10 თურქული ლირა	325.26	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	382,858.13	კუპონი
რუსული რუბლი	281.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	263,357.35	კუპონი
ლატვიური ლატი	1,912,530.96	კუპონი
ესტონური კრონი	85,797.73	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	772.75	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	17,427.62	კუპონი
მოლდავეთის ლეი	244,661.08	კუპონი
ყირგიზეთის სომი	99,594.83	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	930.11	კუპონი
უზბეკეთის სუმი	42,228.68	კუპონი
აზერბაიჯანული მანათი	252.90	კუპონი
სომხური დრამი	2,543.05	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოჭოიაშვილი.